

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მირანდა მიქაძე

სამეზობლო ურთიერთობების ფორმირებისას წარმოშობილი
წინააღმდეგობები

ქ. თბილისის განაშენიანების ტრანსფორმაციის პროცესში

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები: ვალერიან მელიქიძე -
ასოცირებული პროფესორი;
რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი

თბილისი 2018

ანოტაცია

სამეზობლო ურთიერთობების ფორმირებისას წარმოშობილი წინააღმდეგობები

ქ. თბილისის განაშენიანების ტრანსფორმაციის პროცესში

კონფლიქტი სოციალური მოვლენაა და ადამიანის არსებობის განუყოფელი ნაწილია. ცხოვრება კონფლიქტის გარეშე წარმოუდგენელია. კონფლიქტი და მისი მართვა უმნიშვნელოვანესი გამონკვევაა თანამედროვე ადამიანის წინაშე. კონფლიქტის მართვის არსი მისი თავიდან არიდების შესაძლებლობაშია, რასაც პრევენციას ვუწოდებთ. თავიდან არიდების შესაძლებლობა კი ბევრ ცოდნას მოითხოვს, როგორც კონფლიქტის არსის, ბუნების, გარეგანი და შინაგანი ფაქტორების, ასევე მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. პიროვნება მთავარ აქტორს წარმოადგენს კონფლიქტში. ნებისმიერი კონფლიქტი დაკავშირებულია ადამიანთან თუ ადამიანების ჯგუფთან.

ტრანსფორმირება ნიშნავს ძირეულ ცვლას. შესაბამისად ძველი ტიპის განაშენიანების ტრანსფორმაციის და ურთიერთობის შესაწვლა საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ თუ როგორ შეუძლია ტრანსფორმირებას ფუნდამენტური ცვლილებების გამომწვევა როგორც ფუნქციონალურ დონეზე, ასევე მოსახლეობის აღქმასა და დამოკიდებულებაზე.

სამაგისტრო კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ თბილისში მიმდინარე ახალი მშენებლობები არა მხოლოდ ქალაქის ურბანულ იერსახეს ცვლის და იწვევს შეზღუდული სივრცის სარგებლობის პრობლემებს, არამედ ის თვისებრივად ახალ სოციალურ ურთიერთობას აყალიბებს, ზრდის მოსახლეობის სოციალურ სეგრეგაციას და ნეგატიურ განწყობებს. გარდა იმისა, რომ ეს პროცესები ძველ და ახალ შენობებს მიჯნავს და სივრცობრივად და ახლო დასახლებებს შორის სოციალურ დისტანციას ქმნის, ის ახალ შენობებში ძველი დასახლებისაგან განსხვავებულ სამეზობლო ურთიერთობებს, სივრცის მართვის მოდელებს და კონფლიქტების მოგვარების გზებს წარმოშობს.

საკვანძო სიტყვები: სამეზობლო ურთიერთობები, კონფლიქტი, ურბანული ტრანსფორმაცია

Anotation

Controversies of neighbourly relations formation during development transformation process of Tbilisi

The conflict is a social phenomenon and an integral part of human existence and life is unimaginable without it. The conflict and its management represent important challenges for the mankind in contemporary times. The essence of conflict management is in avoiding it, or in other words prevention. The possibility of avoiding conflicts requires much knowledge, such as the essence of conflict, its nature, its external and internal factors, as well as its causes. Person is the main actor in the conflict, as any conflict is related to a person or a group of persons. On the other hand, transformation means a fundamental change. Learning the transformation and relations of the old type of construction allows us to analyze how transformation can cause fundamental changes in the functional level, as well as in the perception and attitude of the population.

This Mastes's thesis research revealed that new constructions in Tbilisi are not only changing the city's urban landscape and cause the problem of limited space usage, but they also create a new social relationship, increasing social segregation and negative sentiments of the population. Besides the fact that this process separates old and new buildings and increases a social distance between spatially close settlements, it creates new kind of relations in new buildings and offers different space management models and ways of conflict resolution.

Keywords: neighborhood relations, conflict, urban transformation.

ანოტაცია.....	2
Anotation.....	3
შესავალი	5
თავი I. საქალაქო განაშენიანების საკითხები	9
1.1 საქალაქო განაშენიანების ტრანსფორმაციის ზოგადი პრობლემები	9
1.2 ქ. თბილისის განაშენიანება ტრანსფორმაციის პროცესში	15
თავი II. კონფლიქტების ანალიზი და მართვა	17
2.1 კონფლიქტის წყაროები და ტიპები	17
2.2 პიროვნებათშორისი და ჯგუფთაშორისი კონფლიქტი	19
2.3 ქცევითი სტრატეგიები კონფლიქტში	21
თავი III. სამეზობლო ურთიერთობები.....	22
3.1 სამეზობლო ურთიერთობები ძველ და ახალი ტიპის დასახლებებში.....	22
3.2 სამეზობლო წინააღმდეგობები	31
3.3 ურთიერთობების სპეციფიკა და კონფლიქტები	34
3.4 სამეზობლო ურთიერთობებისა და კონფლიქტების შედარება და განსხვავების განმაპირობებელი ფაქტორები	42
3.5 დასკვნა.....	47
Bibliography	49

შესავალი

პოსტსოციალისტურ პერიოდში თბილისში ახალი ტიპის საცხოვრებლის მშენებლობა მასიურად მიმდინარეობს, თბილისის თითქმის ყველა უბანში გაჩნდა ახალი შენობები ან დასახლებები, ძველი დასახლებების პარალელურად. გასული საუკუნის 1960-1990 წლებამდე აშენებული ძველი ტიპის შენობები იკავებს დედაქალაქის დასახლების ძირითად ნაწილს, თუმცა სულ უფრო მზარდია ახალი ტიპის მშენებლობის რიცხვი. თბილისის ურბანული ტრანსფორმაცია მხოლოდ გეოგრაფიული ასპექტებით არ ხასიათდება, გეოგრაფიული ცვლილებების პარალელურად მნიშვნელოვანი სოციო-კულტურული ცვლილებებიც მიმდინარეობს. შესაბამისად ძველი და ახალი ტიპის განაშენიანების და სამეგობლო ურთიერთობის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ურბანული სივრცის ფუნქციონალური ტრანსფორმაცია და მისი მოსახლეობის განწყობების, აღქმისა და დამოკიდებულებების ცვლილებები.

ახალი ტიპის კომპლექსები თავისი მენეჯმენტით ძველი დასახლებებისგან განსხვავებულ ურბანულ სივრცეს ქმნის. ნებისმიერი ტიპის განაშენიანებაში თანაცხოვრების ხანგრძლივი წლების გავლის შემდეგ ყალიბდება სუბკულტურა, რომლის შესწავლა მოსახლეობის ჩასახლებიდანვეა მნიშვნელოვანი. ასეთ ტერიტორიებზე სოციალიზაციას გადის თაობები. სამეგობლო ურთიერთობები შეიძლება განხილულ იქნეს სხვა ტიპის სოციალურ ურთიერთობებთან ერთად, (მეგობრები, თანამშრომლები) რომელიც ქმნის ერთგვარ სოციალურ კაპიტალს, რაც მნიშვნელოვანი რესურსია სამეცნიერო ლიტერატურაში სამეგობლო ურთიერთობები აღიარებულია, როგორც სოციალური ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპი, რომელიც ერთობის შექმნის საფუძველია. (Völker, Flap, & Lindenberg , When Are Neighbourhoods Communities? , 1954)

სამეგობლო ურთიერთობები მხოლოდ ჰარმონიული ურთიერთობის პროცესი არაა და ხშირად ხასიათდება კონფლიქტებით. სამეგობლო კოფლიქტებს ხშირად იწვევს მცხოვრებთა განსხვავებული კულტურული და სოციალური გამოცდილება, ფასეულობები, ისევე როგორც გაზიარებული სივრცის გამოყენების განსხვავებული უნარ-ჩვევა და ხედვები,

რაც ხელს უშლის სამეზობლოს მიაღწიოს შეთანხმებას მათ საცხოვრებელ გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემათა ერთობლივად გადასაჭრელად.

საქართველოში ჯერ არ არის შესწავლილი ძველი და ახალი ტიპის შენობის მობინადრეთა დამოკიდებულება მიმდინარე ურბანული ტრანსფორმაციის მიმართ, ასევე სამეზობლო ურთიერთობებისას წარმოქმნილი წინააღმდეგობები, მოსახლეობის განწყობა და დამოკიდებულება, როგორც ახალი ასევე ძველი შენობის მობინადრეთა შიგნით და შორის. აქედან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში შევადარე ძველი და ახალი ტიპის მობინადრეთა სამეზობლო ურთიერთობები და გამოვავლინეთ განსხვავებები.

დასავლურ ლიტერატურაში სამეზობლო ურთიერთობები აღიარებულია, როგორც სოციალური ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპი, რომელიც ერთობის შექმნის საფუძველია. (GREENE, MORA, & BERRIOS, 1978) მიუხედავად იმისა, რომ სამეზობლო ურთიერთობები პიროვნულ დონეზე საქართველოში დასავლეთთან შედარებით ინტენსიურია, თბილისში სამეზობლო თემი სუსტია და სამეზობლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ვერ ემსახურება ერთიანი, ყველასთვის სასიკეთო შეთანხმებების მიღწევას. ეს ასევე უკავშირდება ზოგადად ქართული საზოგადოების როგორც სამოქალაქო საზოგადოების სისუსტეს, რომელშიც ინტერესთა ჯგუფები, ამ შემთხვევაში სამეზობლო თემი, სუსტია.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია შევისწავლო ქ. თბილისის ერთ-ერთი უბნის (კვლევისათვის შერჩეულ იქნა საბურთალოს რაიონი) ძველი და ახალი ტიპის შენობის მობინადრეთა დამოკიდებულება მიმდინარე ურბანული ტრანსფორმაციისადმი და მისგან ინიცირებული სამეზობლო კონფლიქტები.

კვლევის ამოცანაა გამოვავლინოთ და შევადაროთ ერთმანეთს ახალი და ძველი ტიპის განაშენიანებაში სამეზობლო ურთიერთობები და ის ფაქტორები რომელიც განაპირობებს კონფლიქტებს.

კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად ჩამოყალიბდა კვლევის ძირითადი კითხვა: ქ. თბილისის ურბანული ტრანსფორმაციის პირობებში რა ტიპის სამეზობლო კონფლიქტები გვხვდება ძველი და ახალი ტიპის შენობების შიგნით და შორის? კვლევის ქვე-

კითხვებია: გვხვდება თუ არა ურბანული ცხოვრების განსხვავებული კულტურა და სამეზობლო ურთიერთობები ძველ და ახალი ტიპის განაშენიანებაში? აქვთ თუ არა ძველი და ახალი ტიპის დასახლებების მცხოვრებლებს განსხვავებული ხედვა მიმდინარე ურბანული ტრანსფორმაციის მიმართ? ძველი და ახალი ტიპის განაშენიანებებში მცხოვრებთა შორის პოზიციების და დამოკიდებულებების განსხვავებების არსებობის შემთხვევაში რა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებს ამ სხვაობას?

საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, კერძოდ: ლიტერატურის მიმოხილვა, დოკუმენტების ანალიზი, ფოკუს-ჯგუფი, სიღრმისეულ ინტერვიუ და რაოდენობრივი კვლევა პირისპირი გამოკითხვის მეთოდით¹.

ლიტერატურის მიმოხილვის ფარგლებში პირველ ეტაპზე შერჩეულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურა მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და სტატიების ფორმით კონფლიქტებისა და ურბანული ტრანსფორმაციის საკითხების გარშემო. ლიტერატურა მოვიძიე ხელით ძებნისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზებში ძებნის პრინციპით. დოკუმენტების ანალიზის ფარგლებში დავამუშავე ქალაქ თბილისის გენერალური გეგმები. ასევე დოკუმენტების ანალიზის მეთოდით დავამუშავე ერთ–ერთი დასახლების სამეზობლო თემის ფეისბუქ ჯგუფის პოსტები. ანალიზისას გამოვიყენე კონტენტ ანალიზის მეთოდი. მოვახდინე პოსტების თემატური კატეგორიზაცია და დათვლა; პოსტების თემებთან მიმართებაში მოწონების რაოდენობა.

ემპირიული კვლევის (როგორც თვისებრივი ისე რაოდენობრივი) ჩასატარებლად სანყის ეტაპზე შევარჩიეთ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონი. რაიონის შერჩევა მოხდა მისი ურბანული ტრანსფორმაციის მაღალი ხარისხით, თამარაშვილი - ყაზბეგის კუთხე ეს იყო უკვე

¹რაოდენობრივი კვლევა და ფოკუს ჯგუფები განხორციელდა თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ დაფინანსებული მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი პროექტის „ახალი და ძველი ტიპის მობინადრეთა ტერიტორიული იდენტობა“ ფარგლებში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს.

ჩამოყალიბებული რეპროდუქციის ერთ-ერთი ხილული შემთხვევა, რომელიც სივრცეში ისეა განლაგებული რომ ადვილია მისი აღქმა, ასევე მასში შედიოდა მაღალი კლასის მშენებლობები. ამ უბანმა განსხვავებით სხვებისა მოასწრო ტრანსფორმაციის ყველა ეტაპის გავლა. ერთი მხრივ არის ტრასა ვაკე-საბურთალოს და მეორე მხრივ იპოდრომის ტერიტორია.

კვლევის ობიექტად შევარჩიეთ ამ რაიონში ძველი და ახალი ტიპის შენობების მობინადრეები. ახალი ტიპის დასახლებად შევარჩიეთ ორი ტიპის დასახლება: ერთი ე.წ. ჩაკეტილი ტიპის დასახლება, რომელშიც მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი დასახლებისათვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა და ახალაშენებული სახლები, რომლებიც ქმნიან ერთიან სივრცეს ძველი ტიპის საცხოვრებელ შენობებთან. ძველი ტიპის დასახლებები შევარჩიეთ ისეთი ტერიტორიებიდან, რომლის სივრცეში გაჩნდა ახალი შენობები და გაიზარა მათი ინფრასტრუქტურა (დენი, კანალიზაცია, წყალმომარაგება, მისასვლელი და უბნის შიდა გზები).

სამაგისტრო კვლევის ფარგლებში ჩავატარე ორი ფოკუს ჯგუფი ახალი ტიპის ჩაკეტილი დასახლებების მცხოვრებლებთან, რომლებიც სეგრეგირებული იყო მობინადრეთა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით: ახალგაზრდების ჯგუფი (18–39) და შუა ხნისა და ასაკოვან მობინადრეთა ჯგუფი (40 წელი და მეტი). პირველ ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა იყო- 9, ხოლო მეორე ჯგუფში- 5. ფოკუს ჯგუფის მსვლელობა ჩანერილ იქნა აუდიო საშუალებით, რომლის საფუძველზე მომზადდა ტრანსკრიპტი.

სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით გამოვკითხეთ ისეთი ახალი ტიპის დასახლებების მაცხოვრებლები, რომლებმაც დაიკავე ადგილი ძველი ტიპის დასახლებების ურბანულ სივრცეში. სულ გამოკითხულ იქნა - 20 ადამიანი. შერჩეული უბნის როგორც ძველი ასევე ახალი შენობის წარმომადგენლები, რათა ნათლად დაგვეჩვენა ორივე განაშენიანების მობინადრეთა განწყობები პროცესებისადმი, რომლებმაც მათი ურბანული სივრცის რადიკალური ტრანსფორმაცია გამოიწვია. ძველი და ახალი ტიპის დასახლებების მობინადრეებთან ჩავატარე 10-10 სიღრმისეული ინტერვიუ.

რაოდენობრივი კვლევისათვის გამოვიყენეთ არაალბათური შერჩევის დიზაინი, კონკრეტულად კი ქვოტური შერჩევა. რადგან კვლევის მიზანი იყო არა რეპრეზენტატიული შედეგების მიღება თბილისის კონკრეტულ უბანზე, არამედ ორი ტიპის საცხოვრისების შედარება. ქვოტები განსაზღვრული იყო დასახლების ტიპის (ახალი/ძველი), სქესის და ასაკის მიხედვით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა 312 ადამიანი 147 ახალი ტიპის დასახლების მაცხოვრებელი და 169 ძველი ტიპის დასახლების მაცხოვრებელი.

რაოდენობრივი კვლევისათვის წინასწარ ჩამოყალიბდა სტრუქტურირებული კითხვარი, რომლის საშუალებით ტარდებოდა პირისპირი ინტერვიუები, როგორც ახალი ასევე ძველი ტიპის დასახლებების მაცხოვრებლებთან. საველე სამუშაოები ჩატარდა 2017 წლის სექტემბერ–ოქტომბერში. საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდა კითხვარების შემოწმება, რედაქტირება და SPSS-ის ბაზაში შეტანა. ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

თავი I. საქალაქო განაშენიანების საკითხები

1.1 საქალაქო განაშენიანების ტრანსფორმაციის ზოგადი პრობლემები

განვითარებადი სამყაროს ურბანულ ტრანსფორმაციაზე საუბრისას მარკ მონტგომერი აქცენტს ქალაქის მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებაზე აკეთებს და თვლის, რომ ამ მიმართულებით შედარებითი ანალიზი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ანგარიშების საშუალებით 70-იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი გვეხმარება (Montgomery, 2008). თუმცა ეს ავტორი აქვე მიუთითებს, რომ ქალაქის ტრანსფორმაცია არა მხოლოდ დემოგრაფიული, არამედ სხვა სოციალურ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციული პროცესებით გამოწვეული ცვლილებების კომბინაციაა. ქალაქის დაგეგმვის თეორიებში ტრანსფორმაცია უკავშირდება ქალაქის განვითარების პარადიგმის რადიკალურ ცვლილებას. ამიტომაც ურბანული ტრანსფორმაცია, რომელიც ქალაქის სიღრმისეულ გააზრებას მოითხოვს, ახალი კონცეპტუალური მიდგომების და ხედვების წარმოშობას უკავშირდება. შესაბამისად

ცვალებადი ქალაქის ახალი კონცეპტუალური სახის დასანახად თეორიის, პრაქტიკისა და მეთოდის კომბინაციაა საჭირო (ZEREN GÜLERSOY & Ebru , 2011).

ცნება ტრანსფორმაცია არ არის ახალი, ის ზოგადად ცოცხალი ორგანიზმის დროსა და სივრცეში მოძრაობას გულისხმობს, ხოლო ქალაქთან მიმართებაში აღნიშნავს გარემოდან წამოსული მოთხოვნების შესაბამისად ქალაქის მუდმივ განვითარებას. ტრანსფორმაცია ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომელიც მიმდინარეობს ყველგან, მათ შორის გლობალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სტრუქტურებში. ურბანული ტრანსფორმაცია მიმართულია ქალაქების სოციალური, ეკონომიკური და სივრცობრივი გაუმჯობესებისკენ. ურბანული სტრუქტურა მოიცავს ქალაქის არა მარტო წარსულს, არამედ ფარავს კატალიზურ მამოძრავებლებს ქალაქის მომავალი ზრდა-განვითარებისთვის. ქალაქები წარმოადგენენ ყველაზე მძლავრ ეკონომიკურ მამოძრავებლებს მსოფლიოში. მათი ტრანსფორმაცია მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი იქნება 21-ე საუკუნის სახელმწიფოში (Soma , Mishra, & Pandit, 2013)

ძველი ტიპის განაშენიანების ტრანსფორმაციის და ურთიერთობის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავანალიზოთ თუ როგორ შეუძლია ტრანსფორმირებას ფუნდამენტური ცვლილებების გამოწვევა როგორც ფუნქციონალურ დონეზე, ასევე მოსახლეობის აღქმასა და დამოკიდებულებაზე.

ქალაქი იზრდება და მასში ჩნდება სხვადასხვა სახის სპეციალიზებული ადგილები ცენტრალური ვაჭრობისთვის, ბიზნესის წარმოებისათვის (მაგ: სავაჭრო კომპლექსები, ბიზნეს-ცენტრები) და ა.შ. ეს ყოველივე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქალაქის არქიტექტურისთვის.

ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ქალაქის არამხოლოდ იერსახეზე, არამედ მის ფუნქციაზეც ახდენს გავლენას. იგი დაკავშირებულია მიწის დაგეგმარებასთან, კავშირს ახდენს სატრანსპორტო კომუნიკაციებსა და სატრანსპორტო ხაზებზე, კავშირშია ქალაქის დიზაინთან, ქუჩების ტრანსფორმაციასთან და სხვა ფაქტორებთან. ახალი სახლების

მშენებლობისას აუცილებელია პარკინგის ადილის გათვალისწინებაც, რომელიც დამატებით სივრცეს მოითხოვს. განსხვავებული ფორმის, ზომის, არქიტექტურული სტილის, სიმაღლისა და მოცულობის შენობები, რომელთაც განსხვავებული არქიტექტურული სტილი აქვთ და სხვადასხვა მასალისგან არის დამზადებული ხშირად არ ექვემდებარება ქალაქის ლანდშაფტსა და გარემოს და ეს ქალაქის ქაოტურ პეიზაჟს ქმნის და ამავდროულად უკარგავს მნახველს ადგილის განსაზღვრის გრძნობას. ხშირად ახალი შენობების პირველ სართულზე განლაგებული მაღაზიები ქუჩის სავალი ნაწილის გარკვეულ ტერიტორიასაც იკავებს, რაც დამატებით პრობლემას უქმნის ქვეითებს. ზოგადად ახალი სახლების მშენებლობისას გასათვალისწინებელია უამრავი ფაქტორი, მათ შორის არამხოლოდ ქუჩის სიგანესა და შენობის სიმაღლეს შორის კავშირი, არამედ შენობის ხარისხი, განსაკუთრებით კი როგორ ერწყმის იგი სხვა შენობებს და როგორ გამოიყურება სხვა შენობების ფონზე. მნიშვნელოვანი ფაქტორია შენობებს შორის არსებული მანძილიც. ამ ფაქტორებს უკანასკნელ ხანებში ნაკლებად ექცევა ყურადღება.

სამეზობლო თემის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. მაღაზიები, სკოლები, პარკები, სათამაშო მოედნები, კვების ობიექტები, ეკლესიები და ა.შ. საერთო მოხმარების სივრცეს ქმნის და ზრდის სამეზობლოს წევრებს შორის შეხვედრების რაოდენობას და კომუნიკაციის ინტენსივობას. რაც უფრო მეტად არის ადგილობრივი ინფრასტრუქტურა განვითარებული და მეტი მოსარგებლე ყავს, მით ძლიერდება სამეზობლო. ემპირიული კვლევის ეტაპზე გამოვლინდა, რომ ადგილობრივი ინფრასტრუქტურით სარგებლობა აძლიერებს სამეზობლო თემის არსებობს, მაგრამ მოხმარება სეგრევირებულია ახალი და ძველი ტიპის შენობების მობინადრეებისთვის. ძველი და ახალი შენობის მობინადრეები განსხვავებულ ობიექტებს იყენებენ, (მაღაზია, სკოლა, კაფე და სხვ), რაც ერთიანი სამეზობლო თემის შექმნის ნაცვლად უფრო მეტ გამიჯვნას იწვევს. ასევე აუცილებელია, რომ ადამიანებმა გარკვეული დრო გაატარონ სამეზობლოში. ამა თუ იმ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობას და სამეზობლოს გარეთ გატარებულ საათებს დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთობების

ჩამოყალიბებაში. ასევე მნიშვნელოვანია ადამიანთა დაინტერესებაც სხვებთან კონტაქტის დამყარებაში. ადამიანი უფრო დაინტერესებულია სხვასთან კონტაქტით, თუ იმ სხვას მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია. ეს მოლოდინი გამომდინარეობს სოციალური კაპიტალის თეორიიდან. მნიშვნელოვანია ადამიანებს შორის მსგავსებაც, საერთო ინტერესები. როგორც რაოდენობრივმა ისე თვისებრივმა ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, რომ კომუნიკაციის ინტენსივობა ძველ და ახალი ტიპის დასახლებებს შორის თითქმის სულ არ არსებობს. უფრო მეტიც, ახალი ტიპის დასახლებების შიგნითაც ნაკვლებად გვხვდება ინტენსიური სამეზობლო ურთიერთობების პრაქტიკა.

თბილისში დღემდე ახალი განაშენიანება ხდება ქაოტურად ყოველგვარი წესებისა და ნორმების დაცვის გარეშე, ამიტომ იქმნება რეალურად მძიმე ვითარება, როდესაც ახალი განაშენიანება აუარესებს სიტუაციას ქალაქში. ეს ხდება ძველი საცხოვრებლების სკვერებში აშენებული ახალი შენობების გამო, რომლებიც იკავებს აქამდე თავისუფალ სივრცეს, ვინაიდან აშენებულია ძველი შენობების სკვერებსა და ეზოებში.

ურბანულ სივრცეზე საუბრისას როგორც შეამჩნია, რომ ადგილის შეგრძნება შესაძლოა ისეთი ინტენსივობით განიცადო, რომ იგი გახდეს ცენტრალური ასპექტი ინდივიდუალური იდენტობის კონსტრუქციაში (Billig, 2005). ორტიცი აკეთებდა დასკვნას იმის შესახებ, რომ ურბანული ტრანსფორმაციისა და ადგილის შინაარსის აღქმა, ასევე საზოგადოებრივი სივრცის გამოყენება დიდწილად განპირობებულია ასაკით, სქესითა და სოციო-კულტურული ასპექტებით. ახალ საცხოვრებელ სახლებში მობინადრეები უფრო მაღალი ეკონომიკური დონით ხასიათდებიან და უფრო მეტი მოთხოვნილება აქვთ კომფორტზე. ისინი უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საცხოვრებლის ესთეტიკურ მახასიათებლებს, კომფორტს, სილამაზეს, ვიდრე პრაქტიკულ საკითხებს, ჯანსაღ გარემოსა და სამეზობლო ურთიერთობებს ძველი სახლების მაცხოვრებლებისგან განსხვავებით (Billig, 2005). ამავედროულად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ახალი სახლების მობინადრეთა უმეტესობა ახალგაზრდაა და ასაკი დიდ გავლენას ახდენს როგორც გარემოს აღქმაზე, ასევე მეზობლებთან ურთიერთობაზეც (მათ ნაკლები დრო აქვთ, მეტი

ალტერნატიული სოციალური კავშირი გააჩნიათ და უფრო იშვიათად არიან შინ). ადგილის შინაარსის კონსტრუირება კომპლექსური პროცესია და მოიცავს რამდენიმე ცვლად-ინდივიდუალურ ყოველდღიურ გამოცდილებას სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ჩარჩოს ფარგლებში, რომლებსაც შეუძლიათ ამ კონსტრუქციის გაძლიერება ან შესუსტება. საცხოვრებელ გარემოში ადგილის შეგრძნება ძირითადად ჩამოყალიბებულია თავად მაცხოვრებლების მიერ და ფორმირებულია ინტერ-სუბიექტურ საფეხურზე, ინდივიდისა და სხვა მაცხოვრებლების ქცევასთან კავშირში. საცხოვრებელ გარემოში ადგილის შეგრძნება ასევე დამოკიდებულია მოსახლეობის მიერ მისი ფიზიკური მახასიათებლების აღქმაზე, გრძობებზე, ქცევაზე და მათ ინტერაქციაზე. აქედან გამომდინარე ა) ადგილის შეგრძნება არის განსაზღვრული საცხოვრებელი გარემოს მრავალგვარი დახასიათება, რომელიც ფორმირდება სუბიექტური შეგრძნებებისა და მაცხოვრებლების ქცევის მაგალითების საფუძველზე და გამომდინარეობს მაცხოვრებელთა ჯგუფების ურთიერთობებიდან, მათი შიდა ჯგუფური ურთიერთობებიდან და მათი დამოკიდებულებებიდან საცხოვრებელი გარემოს ფიზიკური ასპექტების მიმართ; ბ) ბევრი სოციალური და ფიზიკური ფაქტორი მოახდენს გავლენას ადგილის შეგრძნებაზე საცხოვრებელ გარემოში; გ) თითოეული საცხოვრებელი გარემო იქნება დახასიათებული საკუთარი უნიკალური ადგილის შეგრძნებით (Witt, 1999).

სამეზობლო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში გავლენას ახდენს პიროვნების განათლების დონეც. 2007 წელს ნიდერლანდებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რაც უფრო მაღალია ადამიანის განათლების დონე, მით უფრო მაღე ილღება იგი სამეზობლოსგან. შესაბამისად ასეთი ადამიანი უფრო ნაკლებ დროს დაუთმობს მეზობელთა შეკრებებსა თუ მათთან ურთიერთობას. ასევე უფრო მარტივად ყალიბდება ურთიერთობები, როდესაც ადამიანები მსგავსი ცხოვრების სტილით, ეკონომიკური მდგომარეობით, მსოფლმხედველობითა და ხედვებით გამოირჩევიან. ჰომოგენური სამეზობლო უფრო მარტივად აგვარებს პრობლემებსა და აღწევს მიზნებს. რაც შეეხება მიგრანტებს, მათი რაოდენობა ნეგატიურად აისახება სამეზობლოზე და კავშირების რღვევასთან ასოცირდება.

სამეზობლო ურთიერთობების განხილვისას მნიშვნელოვანია ოჯახური მდგომარეობა და ინდივიდის სხვა მახასიათებლები (Völker, Flap, & Lindenberg, 2007).

ქალაქის უნესრიგოდ და ქაოტურად ზრდა და მოსახლეობის დიდი რაოდენობით თავმოყრა მის იერსახეს უარესობისკენ ცვლის. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ნეპალის დედაქალაქი - კატმანდუ, რომელიც ძალიან სწრაფად, უნესრიგოდ ვითარდება ქაოტური მშენებლობისა და მოსახლეობის ზრდის გამო. ამ ყოველივემ განაღებურა მისი ფიზიკური ფორმა, შეამცირა სოციალური აქტივობა, შეათერხა ქვეითთა მოძრაობა ქალაქში და სხვა უამრავი პრობლემა წამოჭრა. როგორც ვხედავთ სწრაფი, გაუაზრებელი მშენებლობა ხშირად ახალ გამონვევებს უქმნის ქალაქსა და მის მაცხოვრებლებს (Völker, Flap, & Lindenberg, 2007)

პარიზის რეკონსტრუქციის დროს ბარონ ჰაუსმანი შენობების აგებისას ითვალისწინებდა შემდეგ პრინციპს: შენობის სიმაღლე კორელაციაშია ქუჩის სიგანესთან (უფრო მაღალი შენობები იგება განიერ ქუჩებზე, ხოლო დაბალი შენობები უფრო ვიწრო ქუჩებზე). ნიუ-იორკში ზონების შექმნის პირველი რეგულაციებიც სწორედ ამ პრინციპზე იყო დამოკიდებული (Mark 1992). (Billig, 2005), თუმცა ზოგადად მშენებლობისას გასათვალისწინებელია სხვა უამრავი დეტალი, მათ შორის რის ნაცვლად იგება შენობა, ხომ არ იყო აქ რაიმე სხვა მნიშვნელოვანი დანესებულება რამდენად ერწყმის შენობა სხვა ნაგებობებს და ხომ არ უქმნის პრობლემებს სხვა მიმდებარე შენობებს. საქართველო არ არის გამონაკლი და მსგავსი პრობლემები მწვავედ დგას, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ასეთი პრობლემები თვალსაჩინო იქნება პოსტსაბჭოთა სივრცეში. უამრავი ახალი შენობა შენდება უპირველეს ყოვლისა ქალაქის პრესტიჟულ რაიონებში, რაც გამონვეულია ძირითადად აქ ადამიანთა დიდი რაოდენობის თავმოყრით. ასეთ პრესტიჟულ რაიონებში ტრანსფორმაცია განსაკუთრებით ხილვადი გახდა.

1.2 ქ. თბილისის განაშენიანება ტრანსფორმაციის პროცესში

გენერალური გეგმა (შემდგომში გენგეგმა) - ეს არის ქალაქის პერსპექტიულად განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება მეცნიერულ კონცეფციას. ძველი ქალაქის შემთხვევაში იგი გულისხმობს მის რეკონსტრუქციასა და შემდგომ განვითარებას. გენგეგმა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელზეც გრძელვადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში თბილისის განვითარება უნდა დაფუძნდეს.

1924 წლიდან მეორე მსოფლიო ომამდე თბილისის აღმშენებლობის პერიოდი სრულიად ახალ განსხვავებულ ეტაპად ყალიბდება (1934 წელს სრულდება თბილისის განვითარების პირველი გენერალური გეგმა). რომელიც ქალაქის ბუნებრივ ზრდას ითვალისწინებდა. ასევე დიდი ყურადღება ექცეოდა გამწვანებას, კეთილმონაცობისა და სატრანსპორტო მოძრაობის გაუმჯობესებას, ქუჩების, მოედნების რეკონსტრუქციას (ჯანაბერიძე, ნ, 1971)

1951 წელს, დედაქალაქის მეორე გენგეგმის რეალიზაცია იწყება. მოგვიანებით, ხრუშოვის მმართველობის პერიოდში, ქალაქი ახალი ტერიტორიების ათვისების ხარჯზე ზრდა-განვითარების მეთოდს უბრუნდება (ჯანაბერიძე, ნ, 1971)

თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბოლო გენგეგმა 1970 წელს დამტკიცდა (ავტორები: არქ-ბი ი. ჩხენკელი; ა. ჯიბლაძე; გ. ჯაფარიძე; გ. შავდია; ეკონომისტები: ლ. ლორთქიფანიძე; ი. ბოლქვაძე) და აქედან დაწყებული, შემდგომი ათწლეულები, ამ გენგეგმით მიმდინარეობდა როგორც ძველი განაშენიანების რეკონსტრუქცია, ისე ახალი ტერიტორიების ათვისება. ამ გენგეგმიდან დაიწყო თბილისის ისტორიული ნაწილის მეცნიერული გაანალიზება, მისი დაპროექტება და აღდგენა-რეკონსტრუქცია. ამ გენგეგმისათვის ასათვისებელი ტერიტორიების შერჩევასა საავტორო კოლექტივის მიერ შემოთავაზებული იყო რკინიგზის ხაზის გადატანა ქალაქის განაპირა მხარეს. იმ დროს ეს მიუღებლად ჩათვალეს, დღეს კი რეალობად იქცა. (ჯანაბერიძე, ნ, 1971)

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში მსგავსი დოკუმენტი არ შემუშავებულა. გენგეგმა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელზეც გრძელვადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში თბილისის განვითარება უნდა დაფუძნდეს.

აღნიშნული მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა 2009 წელს, როდესაც დამტკიცებული იქნა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი მხოლოდ მინათსარგებლობის გეგმას წარმოადგენდა.

თბილისის მინათსარგებლობის გენერალურ გეგმის განახლებაზე მუშაობა კომპანია „სითი ინსტიტუტმა“ 2015 წელს დაიწყო, რომელიც 2017 წლის 15 აპრილამდე უნდა წარედგინა, და არ ჩაბარდა. თბილისის ყოფილი მერის დავით ნარმანიას განცხადებით „გეგმა ისეთ ძირეულ პრინციპებს ითვალისწინებს, როგორცაა: თბილისი, - ჯანმრთელი, მწვანე, ტოლერანტული, საცხოვრებლად მოსახერხებელი, კომპაქტური, რესურს-დამზოგავი, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული უნიკალურობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული, “ჭკვიანი ქალაქი” (Smart City) (ნარმანია, 2017). გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ექვს ეტაპს მოიცავდა:

1. წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოები;
2. ქალაქმშენებლობითი ანალიზი/არსებული მდგომარეობის მომზადება;
3. დაზუსტებული გეგმარებითი დავალება;
4. კონცეფცია;
5. მინათსარგებლობის გენერალური გეგმის სტადია „პროექტი“;
6. მინათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო პროექტი.

დოკუმენტის შესაქმნელად 2 800 000 ლარი გამოიყო. მინათსარგებლობის გენერალური გეგმის 5 ეტაპი უკვე მიღებული და დამტკიცებულია, მე-6 საბოლოო ეტაპზე მერიამ ჯგუფი ერთი და იგივე შენიშვნის სამჯერ გაუთვალისწინებლობისთვის გასული წლის დეკემბერში 140 ათასი ლარით დააჯარიმა და შენიშვნების გამოსასწორებლად 45-დღიანი ვადა მისცა, რომელიც თებერვლის ბოლოს ამოიწურა (მერია, 2017)

თავი II. კონფლიქტების ანალიზი და მართვა

2.1 კონფლიქტის წყაროები და ტიპები

კონფლიქტი ადმიანის ცხოვრების რეალობას წარმოადგენს. საზოგადოება კონფლიქტის გარეშე არ არსებობს. კონფლიქტი არის ორი ან მეტი მხარის შეხედულებების, ინტერესების დაპირისპირება, რაც შეიძლება იყოს რეალური ან წარმოსახული მრავალთავან, ეს კონფლიქტის ყველაზე ზოგადი განმარტებაა. (ასათიანი , ბერეკაშვილი, მშვიდლობაძე, & ნიჟარაძე, 2000)

კონფლიქტის ფუნქცია შესაძლებელია ორი სახით წარმოვიდგინოთ: დესტრუქციული, უარყოფითად აღქმული და მეორე კონსტრუქციული, პოზიტიურად აღქმული. ფუნქციური თვალსაზრისით კონფლიქტი საპირისპირო მიმართულებების ამსახველია. ადმიანები, ჯგუფები და სხვა, როდესაც დაპირისპირებულები არიან, ისინი იღწვიან საკუთარი მიზნების მიღწევისაკენ. შედეგი კი მსგავსი მისწრაფებისა, შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. აქედან გამომდინარეობს კონფლიქტის პოზიტიური და ნეგატიური ფუნქცია (ასათიანი , ბერეკაშვილი, მშვიდლობაძე, & ნიჟარაძე, 2000).

დესტრუქციული კონფლიქტი სოციალური სისტემების სხვადასხვა საფეხურზე იჩენს თავს, სადაც კონფლიქტი გამოიჩენს ძალადობრივი მეთოდებით. ასეთ დროს როგორც მატერიალური ზიანი ასევე მსხვერპლიც საკმაოდ დიდია. ასეთ დროს ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური და სხვა სოციალური სისტემები განიცდის სტაგნაციას, კონფლიქტი კი ამის მთავარი მექანიზმია (ასათიანი , ბერეკაშვილი, მშვიდლობაძე, & ნიჟარაძე, 2000)

კონსტრუქციული კონფლიქტის დროს შესაძლებლობა იჩენს თავს მხარეების მხრიდან გაცნობიერდეს ერთმანეთის ინტერესები, დაადგინონ ესკალაციის დონე და იწყება ფიქრი მოგვარების გზებზე. კონფლიქტის ობიექტი, კონფლიქტში მონაწილე მხარეები და გარემო კონფლიქტის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. კონფლიქტის ობიექტი გულისხმობს მატერიალურ, ან სულიერ და სხვა ფასეულობებს, რის საფუძველზეც წარმოიშვა ინტერესების შეჯახება მხარეებს შორის. კონფლიქტის ობიექტი ყოველთვის შეზღუდულია,

რადგან მხარეთა ინტერესებთან არის კავშირში. კონფლიქტის მხარეები გულისხმობს მონაწილეებს, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად (ასათიანი , ბერეკაშვილი, მშვიდლობაძე, & ნიჟარაძე, 2000)

კონფლიქტს გააჩნია თავისი გარემო, სადაც იგი მიმდინარეობს, რომელიც ფიზიკური სოციალური და ფსიქოლოგიური სივრცეებისგან შედგება. გარემო შესაძლებელია იყოს როგორც ვრცელი, ასევე ლოკალური. გარემო კლასიფიცირდება როგორც „მინი“, ასევე „მაკრო“ ნიშნებით. (Thomas, 1992)

კონფლიქტი დიფერენცირდება ტიპებით. ვ. ლინკოლნი გამოყოფს ხუთი ტიპის კონფლიქტს. ესენია: ინფორმაციული კონფლიქტები; ინსტიტუციური კონფლიქტები; ღირებულებითი კონფლიქტები; ურთიერთდამოკიდებულებითი კონფლიქტი და ინტერესთა კონფლიქტი

ინფორმაციული კონფლიქტი გულისხმობს ისეთ კონფლიქტს, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის სიმცირესთან და სიჭარბესთან. ინფორმაცია თავისი ხარისხით და ოდენობით, რომელიც ერთი მხარისთვის მისაღებია, ხოლო მეორესთვის არა ინვესტს კონფლიქტის გამწვავებას, ესკალაციას. გარდა ამისა ინფორმაციის სიჭარბეც (Evans, 2013).

კონფლიქტები, რომლებიც დაკავშირებულია წესებთან, ნორმებთან და კანონებთან წარმოადგენს ინსტიტუციურ კონფლიქტებს. ამ ტიპის კონფლიქტის გადაჭრა ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მატერიალურ რესურსებს მოითხოვს. კონფლიქტის გადაჭრას ხელს უწყობს სტრუქტურულ ერთეულებს შორის შეთანხმებების არ დარღვევა და სიტუაციის საჯაროდ განხილვა. ამ ტიპის კონფლიქტები დაკავშირებულია კანონიერ ხელისუფლებასთან; ტრადიციებთან; მართვის სისტემასთან; ტექნიკურ ნორმატივებთან; პოლიტიკურ პარტიებთან და ა.შ. (Evans, 2013).

ღირებულებითან დაკავშირებული კონფლიქტის დროს დაპირისპირებული მხარეები აყალიბებენ ისეთი სახის მსჯელობებს, რომელიც აბსოლუტურს უტოლდება, სადაც არ დათანხმება უღირს, ცუდ ქცევად და არასამართლიანად აღიქმება (Evans, 2013).

ურთიერთდამოკიდებულებითი კონფლიქტი ემოციური ხასიათის მატარებელია. ამ სახის კონფლიქტების მოგვარება პირველ რიგში, ემოციების დარეგულირებას საჭიროებს. ამ სახის კონფლიქტი ფართოდ განიხილება. იგი ასევე მოიცავს იდენტიფიკაციას, რომელსაც ადამიანი ახდენს ჯგუფებთან, საზოგადოებასთან, ერთან, პარტიასთან და თემთან (Evans, 2013).

რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტს, იგი დაკავშირებულია ქცევებთან და მოთხოვნებებთან. თუ მოთხოვნებების მოჩვენებითობა და რეალურობა თანხვედრაში არ მოდიან ერთმანეთთან ეს წარმოშობს კონკურენციას, რაც ნეგატიურ ფონს ქმნის და ცუდ შედეგამდე მივყავართ. საჭიროა მხარეთა შორის იყოს ინტერესთა შესატყვისობა, რაც კონფლიქტის მოგვარებას შეუწყობს ხელს (Evans, 2013).

კონფლიქტის დროს შესაძლებელია ხუთივე ტიპის კონფლიქტიდან რამდენიმე ერთად იჩნოს თავი. არსებობს ისეთი ხასიათის კონფლიქტიც, სადაც ხუთივე ტიპის არსებობაა შესაძლებელი.

კონფლიქტი ხასიათდება დინამიკით, რაც გამოიხატება **ესკალაცია და დეესკალაციის** სახით. ესკალაცია გულისხმობს გამწვავებას, გაძლიერებას, მუქარას, აგრესიას და მტრობას. ესკალაცია რეგრესულია და ხასიათდება ინტენსივობის სხვადასხვა დონეებით. სანყისი წერტილია ინციდენტი, რომელიც ფორმირდება და გადაიზრდება კონფლიქტის უმაღლეს სტადიაში, ბრძოლაში, შეტაკებაში. რაც შეეხება დეესკალაციას, იგი ესკალაციის საპირისპირო მოვლენას წარმოადგენს. ამ დროს, მხარეები ანალიზებენ, რომ შეუძლებელია რომელიმე გამოჩნდეს უპირატესი და იწყება ფიქრი როგორ მოაგვარონ კონფლიქტი. ესკალაციის დონე ან ვითარება ხასიათდება გამწვავებისკენ მიდრეკილებით (Evans, 2013).

2.2 პიროვნებათშორისი და ჯგუფთაშორისი კონფლიქტი

პიროვნება და კონფლიქტი ერთმანეთთან მუდმივ კავშირში არიან. კონფლიქტის გარეშე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია. ხანდახან ადამიანი თავად არის

კონფლიქტის ინიციატორი, ხოლო ხშირად კი კონფლიქტი პიროვნების სურვილის მიუხედავად ხდება. აღმიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, განსხვავებები კი მრავლად გვხვდება. ბევრი მეცნიერი პიროვნებებს ტიპოლოგიურად ასხვავებს და გვეხმარება იმ ძირითადი ნიშნების დანახვაში, რაც იჩენს აღმიანებში თავს. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტიპოლოგიაა ბრიგს-მაიერსის, რომელიც კარგად აჩენს კონფლიქტების ასპექტებს. იმ კონფლიქტების, რომლის გამომწვევ მიზეზად პიროვნული განსხვავებებია (ასათიანი, ბერეკაშვილი, მშვიდლობაძე, & ნიჟარაძე, 2000)

მაიერს-ბრიგსი გამოყოფს ოთხ ძირითად ტიპს: შეგრძნებითი ან ინტუიციური ტიპი; ინტროვერტი ან ექსტრავერტი; აზროვნებითი ან ემოციური ტიპი და აღქმითი და განსჯითი ტიპი. ამ ტიპების კომბინაციით მიიღება თექვსმეტი ტიპი, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერი ტიპის აღწერა მოცემული თეორიის ფარგლებში, რითაც განვსაზღვრავთ პიროვნების ტიპს, მის მახასიათებლებს, რაც დაგვეხმარება უკეთ შევაფასოთ, როგორც პიროვნება, მისი ინტერესები, ასევე კონფლიქტში მისი ოპერირების არეალი. ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია პიროვნებათმორისი კონფლიქტების კავშირი ჯგუფურ კონფლიქტებთან.

პიროვნებათმორისი კონფლიქტები შეიძლება გამოიწვიოს პიროვნებების ჩართულობამ ჯგუფურ კონფლიქტებში. სახელდობრ, როდესაც ადგილი აქვს განსხვავებულ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას. როგორც ზემოთ კულტურული ასპექტების გარჩევისას ვთქვით, ნებისმიერ ჯგუფს საკუთარი ნორმა, წესი და კულტურა გააჩნია. ისინი ბუნებრივია განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ხშირად ეს განსხვავება იწვევს უთანხმოებებს და დაპირისპირებას აღმიანებისგან შემდგარ ჯგუფებს შორის. ძალიან ხშირად დაპირისპირებული ჯგუფის წევრები ერთმანეთს აღიქვამენ, როგორც მოწინააღმდეგეებს და აქ მოქმედებს აქტიურად „მტრის ხატის“ ყალიბი, რაც ხელს უწყობს ჯგუფურ მონოლითურობას და მტრული განწყობის ზრდას ერთმანეთის მიმართ. სწორედ ჯგუფათმორისი კონფლიქტები საფუძველია პიროვნებათმორისი კონფლიქტების განვითარების. (ბერეკაშვილი, და სხვ., 2011)

ჯგუფთაშორისი კონფლიქტებს ადგილი აქვთ მაშინ, როდესაც გაუგებრობაა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, რომელიც ასევე შეიძლება იყოს რომელიმე დიდი ორგანიზაციის ჯგუფები, დეპარტამენტები, სამსახურები. მათ შეიძლება ერთმანეთში კონფლიქტი წარმოეშვათ. კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფებს შორის განსხვავებებმა, როგორც მიზნების ასევე კონკრეტული ამოცანისადმი მიდგომების, სტრატეგიების; აგრეთვე, შეჯიბრის მცდელობამ ან კონკურენციამ და სხვა. ჯგუფთაშორისი კონფლიქტები რთულად მოსაგვარებელია თუ მალაღია

2.3 ქცევითი სტრატეგიები კონფლიქტში.

კ.ტომასმა (Thomas, 1992) შეიმუშავა ხუთი ქცევის სტრატეგია კონფლიქტში: კონკურენცია, განრიდება, თანამშრომლობა, შეგუება, კომპრომისი.

- კონკურენციის სტრატეგია გულისხმობს შეჯიბრს, ბრძოლას და სხვა. სადაც ერთი მხარე დომინირებს და ცდილობს გაანადგუროს მეორე მხარე. ამ სტრატეგიის პრინციპია „მე უნდა გავიმარჯვო, შენ დამარცხდე“
- განრიდების სტრატეგია, სხვაგვარად პრობლემისგან გაქცევის სტრატეგიადაც მიიჩნევა. ამ დროს, რომელიმე ერთი მხარე ცდილობს არ ითანამშრომლოს, მას არ აინტერესებს არც მიზანი. ცდილობს გაიქცეს კონფლიქტიდან. აქტიურდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ესკალაცია ძალიან მალაღია.
- თანამშრომლობის სტრატეგიაში გათვალისწინებულია და ფოკუსი კეთდება მიზნებზე. აქ, მხარეები მოლაპარაკების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს და თანხმდებიან. ორივე მხარე ორიენტირებულია ერთმანეთის ინტერესები დაკმაყოფილდეს.
- შეგუების სტრატეგია, ასევე დათმობის სტრატეგია. აქ ურთიერთობაზე გაქეთებული აქცენტი ჩრდილავს მიზნებს, სადაც ერთი მხარე მზად არის დათმოს ინტერესები, სანაცვლოდ კი შეინარჩუნოს მეორე მხარის ურთიერთობა და კეთილგანწყობა.
- კომპრომისის სტრატეგია, სადაც ორიენტაცია კეთდება რესურსების თანაბარ

გადანაწილებაზე, პარიტეტზე, რომელიც ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია. მქმედებს შემდეგი პრინციპი: „რამე რომ მივიღოთ, თითოეულმა რაღაც უნდა დაეთმოთ“. ხშირად მხარეები კმაყოფილები ამ სტრატეგიებს გააჩნიათ თავისი პრინციპები, რომლებიც შემდეგნაირად გამოიყურება : „მოგება-წაგება“; „წაგება-მოგება“; „წაგება-წაგება“; „მოგება-მოგება“

კონფლიქტების მართვა საკმაოდ რთული პროცესია. სამწუხაროდ, საკმარისი არ არის, მხოლოდ იმ მეთოდების ცოდნა და გაანალიზება, რაც ზევით წარმოვადგინეთ. ნებისმიერი გამონწვევა, რომელიც დაკავშირებულია კონფლიქტთან საჭიროებს სიღრმისეულ ფსიქოლოგიური ასპექტების ძიებას და იმანენტური ნიშნების იდენტიფიკაციას. მართალია ზევით წარმოდგენილი ინფორმაცია დაგვეხმარება უკეთესად ოპერირებაში წარმოშობილი კონფლიქტების დროს, თუმცა, ნებისმიერი კონფლიქტი საჭიროებს სიღრმისეულ დაკვირვებას და არა მხოლოდ მიმდინარე და პოსტფაქტუმ გაანალიზებას, არამედ იმ რეალობის, გარემოს და ვითარების შესწავლასაც, რაც წინ უძღვოდა კონფლიქტს.

თავი III. სამეგობლო ურთიერთობები

3.1 სამეგობლო ურთიერთობები ძველ და ახალი ტიპის დასახლებებში

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ძველი და ახალი სახლის მობინადრეების განსხვავებული ხედვები და დამოკიდებულებები გააჩნიათ ქალაქის დაგეგმარების, თავისი საცხოვრებელი გარემოს, ქალაქის განაშენიანების და ძველი და ახალი ტიპის დასახლებებში/შენობებში მცხოვრებ სოციალური ჯგუფების მიმართ.

ძველი შენობების მობინადრეები უფრო ხიან და ეჭვის თვალით უყურებენ როგორც ახალი ტიპის საცხოვრებელ შენობებს, ისე მათს მაცხოვრებლებს. მათი აზრით, ამ შენობებში ცხოვრება არ არის უსაფრთხო, ვინაიდან დროის მცირე პერიოდში „ნაუცბათევად“ ნაგები შენობები არ არის სანდო. მათი აზრით, ახალ შენობებში ძალიან ბევრი გაუთვალისწინებელი პრობლემა იჩენს ხოლმე თავს. ასევე საეჭვოა რამდენად მყარია საძირკველი ასეთი სწრაფი

მშენებლობის დროს. ძველი შენობის მობინადრეთა აზრით, ახალი შენობა აფუჭებს ქალაქის იერსახეს და ხშირ შემთხვევაში ჩადგმულია უკანონოდ და უსამართლოდ მათი ეზოებისა თუ სკვერების ადგილზე. 16 სართულიანი ახალი საცხოვრებელი შენობა სრულიად შეუსაბამოა გარემოსთან და ქალაქის სხვა შენობასთან, როგორც სიმაღლით, სართულების რაოდენობით, ფორმით, მოცულობით, სტილითა თუ არქიტექტურით, ისე ფუნქციური თვალსაზრისითაც და ქმნის ახალ ხელოვნურ პრობლემებს ისედაც კომპაქტურ უბნებში. ვინაიდან ახალი შენობის მაცხოვრებლებს არ ყოფნით ამ სახლებისთვის გამოყოფილი პარკინგი ისინი ძველი დასახლებების ტერიტორიებზე აყენებენ მანქანებს. ძველი დასახლებებისთვის გათვლილ ტერიტორიის ახალი შენობებით გაჯერების შემდეგ, იზრდება მოსახლეობის სიმჭიდროვე, რაც იწვევს ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურებას, წარმოიშობა ტრანსპორტის პრობლემა, საცობები და შესაბამისად ეს იწვევს ჰაერის დაბინძურებასა და ხმაურით დონის ზრდას. ძველი მოსახლეები მიიჩნევენ, რომ ახალი შენობა თბილისის გარემოს არ შეესაბამება და ქალაქის კონტექსტიდან ამოვარდნილს ჰგავს. ისინი ერთხმად და კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ ძველი ავარიული შენობებიც კი სჯობს ახალს. ეს ნეგატიური განწყობა ხშირად ისეთ რადიკალურ პოზიციებში გადაიზრდება, რომ ადგილობრივები მომავალშიც გამორიცხავენ საცხოვრებლის შეცვლასა და ახალ სახლში გადასვლას. პრობლემის გადაჭრას ისინი ხედავენ ძველი შენობის რესტავრაცია-გამაგრებაში და არა ამ შენობის ნგრევაში და მათს ნაცვლად ახალი 16 სართულიანი „ასანთის კოლოფების“ ჩადგმაში.


ასეთივე ნეგატიური პოზიცია გვხვდება ახალი შენობის მაცხოვრებლებშიც, რომლებიც ძველ შენობას საცხოვრებლად უვარგისად აღიქვამენ. მათი აზრით, ძველი შენობის ვიზუალი ქალაქს საგრძნობლად ამახინჯებს. მათ უკვე ვადა ამოწურათ და მათს განახლებას თუ რესტავრაციას არანაირი აზრი არ აქვს, ისინი უნდა დაინგრეს და მათ ნაცვლად აიგოს ახალი, თანამედროვე ტიპის დიდი შენობა (მათი აზრით, სხვა ფაქტორებთან ერთად ხელს უშლის იქ მცხოვრები მოსახლეობა). ასე ქალაქის იერსახე უკეთესობისკენ შეიცვლება და ყველა შენობა მსგავსი და ერთმანეთის შესაბამისი გახდება. 21-ე საუკუნეში არ არის ძველი შენობის

ადგილი. მათი აზრით ახალი შენობა უფრო კომფორტული, მოხერხებული და მონერსივებულია. ასევე ახასიათებთ ბინების უკეთესი განლაგება და უფრო დიდი ფართობი. ახალ შენობაში გამოკითხული რესპოდენტებიდან ყველა აღნიშნავს, რომ ასეთი ტიპის შენობას უფრო კეთილმონყობილი და სუფთა სადარბაზოები აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ მეზობლები თავად არ ზრუნავენ მის დასუფთავებაზე, როგორც ძველი ტიპის შენობაში. სისუფთავესთან და სხვა ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს აგვარებს ან კონსიერჟი, ან სპეციალურად დაქირავებული სამსახური, რომელსაც თითოეულ მეზობელთან ინდივიდუალური კონტაქტი აქვს, შესაბამისად მეზობელთა ხშირი შეხვედრები, თუ არსებულ პრობლემებში ერთობლივად მონაწილეობა პრაქტიკულად გამორიცხებულია, რაც იწვევს მათ შორის კონტაქტების შესუსტებას, ხოლო რაც შეეხება გარე კავშირებს ძველი სახლების მაცხოვრებლებთან, ასეთი ტიპის კომუნიკაცია, კიდევ უფრო იშვიათია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტიპის სახლის მაცხოვრებლები კრიტიკულად აფასებენ საკუთარი საცხოვრისის მდგომარეობასა, მათ ნაკლოვანებებს, ბევრი ფაქტორი არ მოსწონთ თავისივე საცხოვრებელ გარემოში, ისინი საცხოვრებლად მაინც თავიანთ შენობას ამჯობინებენ.

ძველი შენობის მაცხოვრებლები საკმაოდ რთულად ეგუებიან ახალი შენობის ჩადგმას თავიანთ სამეზობლოში, ვინაიდან ხშირად ახალი შენობა იგება საბჭოთა პერიოდში დაგეგმილი დასახლებებში, ამჟამად კი ითვისებს სკვერების, ეზოებისა თუ პარკების ადგილს, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევს. ეს კი იწვევს ნეგატიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას იმ ადამიანების მიმართაც, ვინც შეიძინა საცხოვრებელი ადგილი იმ შენობაში, რომელმაც მათი დასასვენებელი კუთხე, (ზოგ შემთხვევაში მათი ბავშვობის სათამაშო ადგილი) „შეინრა.“ ისინი აყენებენ იმ ადამიანთა სოციალური პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებმაც ყურადღება არ მიაქცია, რომ მათი შენობა რეკრიაციული ტერიტორიის შემცირების ან გაქრობის ხარჯზე აშენდა. ძველი მაცხოვრებლები საუბრობენ ახალგადადგმულთა სოციალური პასუხისმგებლობის სიმცირეზე. ამავდროულად ახალი შენობის გამო მათი თქმით, ისინი აწყდებიან მთელ რიგ დაბრკოლებებს: მოუხერხებელია ერთი უბნიდან მეორეში გადასვლა, დაიკარგა სივრცე, ჩაიხერგა მარტივად მისასვლელი

გზები ე.წ. „ჩორნი ხოდები“ (მაგალითად, რესპონდენტებმა დაასახელეს ყაზბეგიდან მიცკვეიჩზე, მიცკვეიჩიდან საბურთალოს ქუჩაზე გადასასვლელი ბილიკები, რომელთა გაქრობის გამოც ახლა ცენტრალური ქუჩებით და შემოვლითი ქუჩებით უწევთ იმავე ადგილზე მოხვედრა). კიდევ ერთი პრობლემაა ის, რომ ახალი მაღალსართულიანი შენობა ზემოდან დაჰყურებენ ძველ შენობას, უფუჭებენ ხედს და ამცირებს ბინების განათების ხარისხს. ძველ შენობაში მაცხოვრებლები ცდილობენ ერთმანეთთან კონტაქტის შენარჩუნებას და ტიპური სამეზობლო ურთიერთობების დაცვას. ახალი შენობის მაცხოვრებლებს ისინი მეზობლებად აღიქვამენ, თუმცა მათთან მხოლოდ ფორმალური ურთიერთობები აქვთ. სამეზობლო ურთიერთობებში ცვლილებას აღნიშნავენ ძველი შენობის მობინადრე ყველაზე ახალგაზრდა წევრებიც კი. ახალი შენობის მაცხოვრებელი მეზობლები, მათი თქმით, უფრო ჩაკეტილები არიან და ხშირ შემთხვევაში არც საკუთარი მეზობლების გაცნობის სურვილს გამოხატავენ. ეს ცვლილებები რესპოდენტთა აზრით, გამოწვეულია უპირველეს ყოვლისა ახალი სახლის მაცხოვრებელთა ასაკით, რომელთა დიდი ნაწილი ძველი სახლისგან განსხვავებით ახალგაზრდაა და მრავალი სოციალური კონტაქტი გააჩნიათ, რის შედეგადაც აღარ ეძებენ ახალ კონტაქტებს სამეზობლოში. თვისებრივი კვლევის დროს გამოვლენილი ეს ტენდენცია გამყარდა რაოდენობრივი კვლევის შედეგებით, რომლის მიხედვითაც, ახალი ტიპის დასახლებებში მნიშვნელოვნად არის შემცირებული სამეზობლო ურთიერთობები (ეს გამყარებულია მაღალი კორელაციის კოეფიციენტით (0.365), რომელიც გამოვლინდა დასახლების ტიპს და ახლო სამეზობლო ურთიერთობაში მყოფ ოჯახების რაოდენობებს შორის). როგორც გრაფიკზე #1 არის ასახული, ახალი შენობების მცხოვრებთა მესამედზე მეტს არცერთ ოჯახთან არ აქვს ურთიერთობა, როდესაც ეს მაჩვენებელი ძველ შენობებში 14.5%-ია. მჭიდრო სამეზობლო ურთიერთობები 15 ოჯახამდე სწორედ ძველი ტიპის შენობებში გვხვდება, მაშინ როცა ახალში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 6-ია.


გრაფიკი #1: თქვენს სამეგობლოში რამდენ ოჯახთან გაქვთ ახლო ურთიერთობა? (N=316)
(კორელაციის კოეფიციენტი 0.365)



კვლევის პროცესში ასევე ვავლენდით, თუ რამდენად ხშირად მიმართავენ მეგობლები ერთმანეთს დახმარებისათვის. როგორც გრაფიკი #2-ზეა ასახული, მეგობართან დახმარებისათვის მიმართვის პრაქტიკა უფრო დამახასიათებელია ძველი შენობებისათვის. ახალი შენობებიდან მობინადრეთა ნახევარს არასდროს არ მიუმართავს მეგობლისთვის დახმარებისთვის, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ახალი ტიპის დასახლებაში 18.3%-ია.


იგივე ტენდენცია ნარჩუნდება როდესაც რესპონდენტებს ვეკითხებოდით რამდენად ხშირად მიუმართავენ მათთვის მეგობლებს დახმარების მიზნით. კვლევის შედეგებით ვლინდება, რომ ახალ შენობებში მეგობრებს არასდროს „შეუწუხებია“ მათი ოჯახი 37.4%-ის შემთხვევაში, ხოლო ძველ შენობებში ეს მაჩვენებელი 17.2%-ია. ყოველკვირეულად დახმარების თხოვნის პრაქტიკა გვხვდება ძველი შენობების 12.4%-ში, ხოლო ახალი შენობების 4.8%-ში.

გრაფიკი #2: რამდენად ხშირად მიმართავენ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი მეზობელს/მეზობლებს დახმარებისთვის?(N=316) (ასოციაციური კავშირი არ ფიქსირდება)



სამეზობლო ურთიერთობის დახასიათებისას ქველი და ახალი ტიპის შენობების მაცხოვრებლები მკაფიოდ ასახავდნენ ზემოთ დაფიქსირებულ ტენდენციებს. კითხვაზე, როგორ დახასიათებდით თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების ურთიერთობებს მეზობლებთან ზოგადად, ქველი ტიპის შენობებში ნახევარმა გამოიყენა ცნება „მეგობრული,“ მეხუთედმა კი „ახლობლური,“ 3%-მა კი ნათესაური. ახალი ტიპის დასახლებებში ყველაზე ხშირად სამეზობლო ურთიერთობა „დისტანციური“-ს ტერმინებში დაახასიათეს (44.9%). მეგობრულ ურთიერთობებზე მიუთითებს 31.3%, ხოლო „ახლობლურზე“ – 15.6% (იხ. გრაფიკი #3). ეს განსხვავება სტატისტიკურად სანდოა, რადგან კორელაციის კოეფიციენტი -0.187 -ია.

გრაფიკი #3: როგორ დაახასიათებთ თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების ურთიერთობას მეზობლებთან ზოგადად? (N=316) (კორელაციის კოეფიციენტი -0.187)



სამეზობლო ურთიერთობის კვალდაკვალ შეიცვალა ცხოვრების სტილიც. ახალი შენობის მაცხოვრებლები (ისევე, როგორც უკვე ძველის) სულ უფრო ნაკლებ დროს ატარებენ სახლში. ბოლო ტენდენციაა ტიპური ურბანული ცხოვრება და თანამედროვე ტიპის ადამიანი აღარაა ორიენტირებული ურთიერთობებზე და მეზობლებთან კონტაქტების ჩამოყალიბებაზე. თვისებრივი კვლევს დროს რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ ურჩევნიათ ისედაც მცირე თავისუფალი დრო მეგობრებთან გაატარონ, რომელთაც თავად ირჩევენ და არ ქონდეთ ახლო ურთიერთობა მეზობლებთან, რომლებიც მათი არჩევანი არ არის.

პარალელურად დაკარგულია სამეზობლოს მთავარი ფუნქცია - რაიმე საერთო მიზნის არსებობა და ერთობლივი პრობლემების გადაჭრა. ყველა პრობლემის გადაჭრა ახალ შენობის კომპანიის მიერ ხორციელდება, რომელიც მას ემსახურება, ან მას სხვა დაქირავებული პირები უზრუნველყოფენ, ამიტომ აღარ ჭირდებათ ინტენსიური სამეზობლო კავშირების ჩამოყალიბება. ახალი ტიპის შენობების მხოლოდ 25.7%-ის შემთხვევაში

არსებობს არჩეული თავჯდომარე, რომელიც სამეზობლოს მენეჯმენტს უდგას სათავეში. როგორც აღვნიშნეთ კორპუსს დაქირავებული ორგანიზაცია მართავს.

ძველ შენობაში მსგავსი პრობლემები ასევე ერთი პირის - თავმჯდომარის მიერ გვარდება (შემთხვევების 85.8%). სამეზობლო თემებზე შეკრებები თითქმის თანაბრად ძველ და ახალ შენობებში. ძალიან ძირძველი მოსახლეები უფრო ინტენსიურად ინარჩუნებენ კავშირებს, აქვთ ხშირი კონტაქტი და ერთობლივად ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ საერთო საქმეში, თუმცა ვინაიდან ასეთი მეზობელი სულ უფრო ცოტაა და ძალიან ბევრი ბინა არის გაქირავებული ან ჩაკეტილი და არ ჰყავს მუდმივი მოსახლე, რომელსაც არ აინტერესებს მართვისა თუ სახლის საკითხები შესაბამისად შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე აღარ არის დიდი სამეზობლოს ფუნქციონირების საჭიროება, რაც იწვევს იმას, რომ თითოეული სახლი დამოუკიდებლად წყვეტს საკითხებს და დამოუკიდებლად თანაარსებობს. გამოდის, რომ ძველი და ახალი საცხოვრებელი შენობის მობინადრეები პრაქტიკულად იზოლირებული არიან ერთმანეთისგან სოციალური თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბინები პრაქტიკულად ერთმანეთზეა მიბჯენილი.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, ძველი და ახალი შენობის მობინადრეებს შორის კონტაქტი იმდენად მინიმალურია, (ურთიერთთანამშრომლობა კი პრაქტიკულად გამორიცხული) რომ წესით კონფლიქტი ან კამათი მათ შორის საერთოდ არ უნდა ხდებოდეს, თუმცა რაც არ უნდა უცნაური იყოს, მაცხოვრებლებს შორის მაინც ვაწყდებით მსგავს გამოცდილებას. ძველ ბინებში მცხოვრები გამოკითხული რესპოდენტებიდან უმრავლესობას ერთხელ მაინც ჰქონია ახალი სახლის მობინადრესთან-მეზობელთან სულ მცირე კამათი ან ძირითადად ეს დავები გამომწვეულია სხვისი საპარკინგო ადგილის დაკავებით, სხვის ურნაში ნაგვის გადაყრით თუ სხვა მსგავსი წვრილმანით.

ორი განსხვავებული შენობის მაცხოვრებლებს შორის შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაქტიკულად ნეიტრალური ურთიერთობებია, თუმცა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მათ სახლებთან დაკავშირებით. კერძოდ, როგორც აღვნიშნე, ახალი შენობა ძველი მაცხოვრებლების აზრით, ზედმეტად მჭიდროდ არის მიბჯენილი ერთმანეთთან, „ერთმანეთს

ჩახუტებულია“ და ყლაპავს სივრცეს და დასასვენებელ რეკრეაციულ ზონას, რომელიც ქალაქს ისედაც აკლია. ამავდროულად ისინი ძალიან ხელოვნურია და წარმოშობს ქალაქში ქაოსს. ხოლო ახალი მოსახლეების აზრით, სახლების ეზოებში ჩადგმას ალტერნატივა არ აქვს, ვინაიდან ქალაქი იზრდება და ფართოვდება და სხვაგვარად ვერც მოხდება მისი განვითარება.

ძველი და ახალი შენობის ერთ სივრცეში თანაარსებობას ორივე მხარე კატეგორიულად გამორიცხავს. ახალი შენობის მოსახლეები ძველი შენობის დანგრევასა და ახალის აშენებას უჭერენ მხარს, ხოლო ძველის აზრით, აუცილებელია ძველი შენობის რესტავრაცია, გამაგრება და ვიზუალური დახვეწა. როგორც ვხედავთ რეალურ კონფლიქტს ამ ორ მხარეს შორის ვაწყდებით არა ყოფით წვრილმანებში, არამედ საცხოვრებლის აშენება-დანგრევის განხილვისას. ამ შემთხვევაში, აზრთა განსხვავება შესაძლოა მრავალი ფაქტორით იყოს განპირობებული, მათ შორის ეკონომიკური ფაქტორითაც, ვინაიდან ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამოვლინდა, რომ ახალ შენობის მობინადრეები უფრო მაღალი ეკონომიკური დონით ხასიათდებიან და უფრო მეტი მოთხოვნილება აქვთ კომფორტზე. ისინი უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საცხოვრებლის ესთეტიკურ მახასიათებლებს, კომფორტს, სილამაზეს, ვიდრე პრაქტიკულ საკითხებს, ჯანსაღ გარემოსა და სამეზობლო ურთიერთობებს ძველი სახლების მაცხოვრებლებისგან განსხვავებით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველი და ახალი მოსახლეების ურთიერთობაში არსებულ უფსკრულს ხელს სხვა ფაქტორებთან ერთად უწყობს აზრთა სხვადასხვაობა განაშენიანების, დასახლების, სამეზობლოს, ქალაქის განვითარებისა და სხვა საკითხების მიმართ.

იმისთვის, რათა სამეზობლო ფუნქციონირებდეს და მაცხოვრებლებს შორის კავშირი ჩამოყალიბდეს აუცილებელია რიგი პირობები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია: შეხვედრის ადგილი, ინდივიდუალური მოტივაცია, საქმეების ერთად კეთების მოტივაცია, ურთიერთობათა ალტერნატივები, რომლებიც ადამიანს აქვს სამეზობლოს გარეთ და ურთიერთდამოკიდებულება. ადამიანები ამ პირობებს განსხვავებულად ასრულებენ და განსხვავდებიან ერთმანეთისგან მოტივაციის დონითაც. თუმცა უკანასკნელ პერიოდში

აღინიშნება ამ პირობათა შესრულების სულ უფრო მცირე მოტივაცია ინდივიდთა მხრიდან. გაერთიანებები იქმნება იმ მოლოდინით, რომ ადამიანებს სჯერათ, რომ განახორციელებენ რაიმე მნიშვნელოვან ამოცანებს. ახალ შენობაში კი ასეთი ამოცანები პრაქტიკულად არ არსებობს ან ის გადაჭრილია დაქირავებული კომპანიის მხრიდან და ადგილობრივებს მინიმალური ძალისხმევის განწევა სჭირდებათ.


ჩვენ მიერ ჩამოთვლილი პირობებიდან, რომლებიც სამეზობლოსა და მსგავსი გაერთიანების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, მნიშვნელოვანია: შესაძლებლობა, სიმარტივე, საქმეების ერთად კეთების მოტივაცია. ისინი შეგვიძლია ასე დავაკონკრეტოთ: შესაძლებლობების შეხვედრა; ინდივიდუალური მოტივაცია ინვესტიციისთვის; ალტერნატივები, რათა გავიაზროთ ინდივიდუალური მიზნები; ურთიერთდამოკიდებულება. არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ ადამიანებს აქვთ სამეზობლოს ალტერნატიული გაერთიანებები, მაგალითად თუ ადამიანს აქვს მყარი და სტაბილური გაერთიანება სამუშაო ადგილზე თანამშრომლებთან ის უფრო ნაკლებად არის დაინტერესებული ადგილობრივი გაერთიანების წევრობაში, (მაგ. სამეზობლო). წამყვან როლს ასრულებს ურთიერთდამოკიდებულება. თუ ადამიანები ერთმანეთზე არიან დამოკიდებული ისინი ერთმანეთში ახდენენ ინვესტირებას. ამგვარი ურთიერთობები ყალიბდება მაშინ, როცა მეზობლები იყოფენ, მაგ. პარკინგს, ქუჩას, ისინი თავისდაუნებურად აყალიბებენ კონტაქტებს ერთმანეთთან. ადამიანები რომლებიც მცირე რესურსებს ფლობენ იძულებული არიან მეტი რამ გაიყონ ერთმანეთთან.

3.2 სამეზობლო წინააღმდეგობები

რაოდენობრივი კვლევის პროცესში აქცენტი გვექონდა გაკეთებული სამეზობლო კონფლიქტების გამოვლენაზე. როგორც გრაფიკი #4-დან ჩანს, ახალი ტიპის სამეზობლოებში თითქმის არ ფიქსირდება სამეზობლო კონფლიქტები, როდესაც ძველი ტიპის განაშენიანებაში ეს მაჩვენებელი არც თუ ისე დაბალი – 47.3%-ია. კონფლიქტური სიტუაციებიდან ყველაზე ხშირი ორივე ტიპის შენობებში კამათია, რომელიც ძველი ტიპის

შენობებში დაახლოებით სამჯერ უფრო ხშირია, ვიდრე ძველ შენობებში. უფრო იშვიათად გვხვდება კონფლიქტის უფრო მწვავე ფორმა – სიტყვიერი შელაპარაკება, რაც ძველ შენობაში ორჯერ უფრო ხშირია, ვიდრე ახალში. ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევა სულ 6 დაფიქსირდა ორივე ტიპის შენობის მცხოვრებლებს შორის. თვისებრივი კვლევის ეტაპზე ახალი ტიპის მცხოვრებნი ხშირადნ საცხოვრებლის შეცვლის მიზეზად მეზობლების მიერ მათი ფართის დაზიანებას მიუთითებდნენ, რაც ყველაზე ხშირად წყლის გაუონვით იყო გამოწვეული. ესეთი შემთხვევები ახალ შენობაში არ გვხვდება, თუმცა ძველ შენობაში საკმაოდ მაღალია (5.9%).

გრაფიკი #4: გეონიათ მეზობლებთან შემდეგი ტიპის კონფლიქტური სიტუაციები? (N=316)
(კორელაციის კოეფიციენტი 0.365)



მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტური სიტუაციები ახალ შენობაში უფრო ნაკლებად ფიქსირდება, ძველ შენობის მოზინადრეები განრიდების ან დათმობის სტრატეგიას უფრო

ხშირად მიმართავენ, რადგან უფროთხილდებიან ურთიერთობების გაფუჭებას. კონფლიქტის მოგვარების ეს სტრატეგია არაკომუნიკაციური, პასიური და სტატიკურია. ადამიანი „არიმჩნევს“, ხუმრობაში ატარებს, ცდილობს, ყურადღება სხვა საკითხზე გადაიტანოს, შეცვალოს თემა ან საერთოდ გაერიდოს კონფლიქტურ გარემოს. კონფლიქტის იგნორირება კარგი ხერხია, როდესაც შედეგი წინასწარაა ცნობილი ან შესაძლებელია იმის პროგნოზირება, რომ ის ორივემ მხარისთვის უარყოფითი იქნება. თავიდან აცილების ტაქტიკამ შესაძლოა განმუხტოს ან დროებით მოაგვაროს კონფლიქტი, რაც დაპირისპირებულ მხარეებს გარკვეულ დროს მისცემს ყოველივეს გასააზრებლად, დასამშვიდებლად და ოპტიმალური გამოსავლის საპოვნელად. დათმობის სტრატეგიის დროს რომელიმე მხარე განსაკუთრებით უფროთხის კონფლიქტის გამწვავებას და პოზიციას თმობს. დათმობა სხვისი ინტერესების დაკმაყოფილებისკენ მიმართული ქცევაა და ურთიერთობის შენარჩუნებას გულისხმობს. ამ დროს ადამიანი აღიარებს სხვის სიმართლეს ან საჭიროებას და უკანა პლანზე სწევს საკუთარს. დათმობა ეფექტიანია, როდესაც მხარეებს პრობლემის გადაჭრაზე მეტად ჰარმონიული ურთიერთობა აინტერესებთ. თუ დათმობის პოზიციას გამუდმებით ერთი მხარე იკავებს, შესაძლოა განვითარდეს შიდაპიროვნული კონფლიქტიც, რადგან საკუთარი სურვილების, მისწრაფებების, მიზნებისა და ინტერესების მუდმივი უგულებელყოფა დამორგუნველად მოქმედებს. დათმობას მიმართავენ ადამიანები მაშინაც, როდესაც კონფრონტაცია, დაპირისპირება მათთვის მტკივნეული და არაკომფორტულია.

ახალი ტიპის დასახლების და შენობის მოხინაღრეები მიმართავენ კონკურენციის სტრატეგიას - ის, ვინც ნაკლებადაა დაინტერესებული ურთიერთობის შენარჩუნებით, ვისთვისაც დაპირისპირებული მხარის ინტერესები უმნიშვნელოა და საკუთარი მიზნის მიღწევა – პრიორიტეტული. კონკურენცია გულისხმობს მხოლოდ ერთი მხარის ინტერესების დაკმაყოფილებას და ცალმხრივი გადაწყვეტილების გატანას ნებისმიერი საშუალების გამოყენებით. ამ სტრატეგიის გამოყენების დროს აქტიურად მიმართავენ ძალის დემონსტრირებას, მანიპულაციებს, იშველიებენ ავტორიტეტებს, კანონს. აღსანიშნავია ისიც,

რომ ამით კონფლიქტი საბოლოოდ არ გვარდება, რადგან დამარცხებული მხარე ხელსაყრელ შემთხვევაში კვლავ მიუბრუნდება დავის საგანს.

3.3 ურთიერთობების სპეციფიკა და კონფლიქტები

მნიშვნელოვანი ინფორმაცია სამეზობლო ურთიერთობების სპეციფიკასა და კონფლიქტებზე მივიღე თვისებრივი კვლევის მეთოდების დახმარებით, სადაც სიღრმისეულად გამოვლინდა დამოკიდებულებები და განწყობები. ახალ შენობებში მეზობლებს შორის ძირითადად ვხვდებით დაბალი ინტენსივობის და ფორმალიზებულ ურთიერთობებს. დაბალი ინტენსივობის სამეზობლო ურთიერთობებში ჩვენ ვგულისხმობთ ქართული კონტექსტისთვის დამახასიათებელი „მეზობლური ურთიერთობების“ (გარკვეული დროის ერთად გატარება, მნიშვნელოვანი ღონისძიებების ერთად აღნიშვნა და ერთმანეთის ოჯახის შესახებ დეტალური ინფორმაციის ცოდნა და ამის სხვა მეზობლებთან განხილვა) არ არსებობას ან მათი დაბალი ინტენსივობით არსებობას. ახალ შენობების მობინადრენი ტრადიციული სამეზობლო ურთიერთობების არ არსებობის მიზეზად ადგილობრივი მცხოვრებლები დროის სიმცირეს, დასახლების მოკლე ისტორიას და სურვილის არქონას ასახელებენ, თუმცა ერთ-ერთი ახალი დასახლების მკვიდრი აღრინდელ სამეზობლო ურთიერთობებს ნოსტალგიით იხსენებს: „მოვიდნენ ეს ახალი ქართველები. ჩვენ იქ გვექონდა ყველას ჩვეულებრივი ღობე, გადავდიოდით მეზობლები ერთმანეთთან, გვიხაროდა, დანახვა, მისვლა-მოსვლა. ყველა ვიყავით ძალიან მეგობრულად. შემდგომ ეტაპზე იქ ის იპრანჭებოდა, ეს ამას ეპრანჭებოდა, იქ ვილაცა ვალდებული იყო, მეზობლებში შეიცვალა დამოკიდებულება. ყორეები ააშენეს იმხელა, ჩემ ეზოში არ გადმოიხედოს, მერე იმის ბავშვის ბურთი არ გადმოვარდეს, კიდე დაამატა ზემოდან მეორემ და უბრალოდ, გახდა წარმოუდგენელი იქ ცხოვრება“. როგორც წარმოდგენილი პასაჟიდან ჩანს, სწორედ მეზობლებს შორის გაუცხოება გახდა ამ ადამიანისათვის გადამწვეტი შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი.

ფორმალიზებულ სამეზობლო ურთიერთობებს ჩვენ ვუნოდებთ სამეზობლო საკითხების მოგვრებისათვის ფორმალური სტრუქტურების გამოყენებას. ჩვენს მიერ შესწავლილ დასახლებაში გარემო საკითხების მოგვარება ხდება დაქირავებული ორგანიზაციების მიერ: დაქირავებული დასუფთავების ფირმა ზრუნავს სადარბაზოებისა და ეზოების დასუფთავებაზე, ეზოს იცავს კერძო „უსაფრთხოების სამსახურის“ წარმომადგენლები, დასახლებას ყავს დაქირავებული ტექნიკური პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია დაზიანებული ინფრასტრუქტურის შეკეთებაზე და შენობების ვიზუალურ მხარესთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაზე (მაგალითად, კონდენციონერის თუ გამათბობელი მონწყობილობების დამონტაჟების საკითხი, ისე რომ არ დაირღვეს შენობის ვიზუალი). აღნიშნულ ორგანიზაციებთან ურთიერთობას ჯერ-ჯერობით კვლავ სამშენებლო კომპანიის „გაყიდვების ოფისი“ აგვარებს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, რომელ ორგანიზაციასთან თუ პირთან დადოს ხელშეკრულება. დასახლების მცხოვრებნი ნაკლებად ერევიან ამ საკითხების მოგვარებაში და ამ პროცესებისაგან დისტანცირებას დადებითად აფასებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ მეზობლების ჩარევა ამ „დალაგებულ სისტემას“ არევეს, რადგან თუ ისინიც მიმართავენ ძველ დასახლებებში გავრცელებულ „კორპუსის თავჯდომარის“ არსებობის პრაქტიკას, მათი აზრით, თავჯდომარე საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენებს მისთვის მინიჭებულ სამეზობლოს მართვის ფუნქციას. საინტერესოა ასევე ახალი ტექნოლოგიების როლი. სამეზობლოს სოციალურ ქსელში შექმნილი აქვს „დახურული Facebook ჯგუფი,“ რომლის საშუალებითაც ისინი გამოხატავენ უკმაყოფილებას და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და პრობლემებს.

სამაგისტრო კვლევის ფარგლებში სწორედ ამ დახურული სოციალური ქსელის ჯგუფის კონტენტ ანალიზი განვახორციელეთ. შევისწავლე ერთი წლის განმავლობაში გვერდზე განთავსებული პოსტები, კომენტარები და პოსტების მონონებები. სულ გავაანალიზე 297 პოსტი. აქედან პოსტების 30% ეთმობა ეზოების, სადარბაზოების, ლიფტების დაბინძურების თემას. აღშფოთებული მობინადრეები, არა მხოლოდ სიტყვიერად გამოხატავენ უკმაყოფილებას, არამედ გვერდზე ათავსებენ ფოტოებს. რიგით მეორე

პრობლემა არის პარკირების პრობლემა: პარკირების კუთვნილ ადგილზე სხვის მიერ მანქანის გაჩერება, გზის სავალი ნაწილის დაკეტვა, მანქანის ბლოკირება და ა.შ. თვისებრივი კვლევისას გამოვლინდა, რომ მცხოვრებნი ხშირად მიმართავენ საპატრულო პოლიციას დახმარებისათვის. თუმცა საპატრულო პოლიციას არ აქვს მანქანის გადაყვანის უფლება, თუმცა მათი მეშვეობით ვლინდება მეპატრონის ვინაობა და შესაძლებელი ხდება მასთან დაკავშირება. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივები ხშირად პოსტს ათავსებენ გაყიდვების ოფისის მომსახურების უკმაყოფილების გამოსახატავად: ეს ეხება ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის ან წყლის მიწოდების შეწყვეტას, რომელიც ხშირად არ არის უშუალოდ მშენებლობით გამოწვეული. ასევე ხშირია მიმართვიანობა გაჭიანურებული სამშენებლო სამუშაოების, დასუფთავების და დაცვის სამსახურის მუშაობით უკმაყოფილების, ხმაურის გამო. პოსტებს შორის იშვიათდა თუმცა მაინც ვხვდებით სარეკლამო განცხადებებს, განცხადებებს, რომელიც ქონების გაქირავებას, დაკირავებას ეხება. თავად გაყიდვების ოფისიც აქტიურად იყენებს Facebook ჯგუფს მობინადრეებთან საკომუნიკაციოდ. აწვდით მათ ინფორმაციას მიმდინარე ცვლილებებზე, განხორციელებულ პროექტებზე, დაგეგმილ ღონისძიებებზე. Facebook ჯგუფის ამგვარი გამოყენება ნათელს ხდის, რომ სამეზობლო ურთიერთობები გაშუალებულია სოციალური ქსელის გამოყენებით და კარგად ასახავს ფორმალიზაციის უფრო მაღალ ხარისხს, სადაც ინდივიდუალური მიდგომა, მეზობლის მორიდება თუ მისი ინტერესების გამო დათმობაზე წასვლა იშვიათია.

გაყიდვების მენეჯერის აღნიშვნით, ამ დასახლებაში ხშირად მცხოვრებლები ვერ მიჯნავენ პირად, სამეზობლო თუ ზოგად ურბანულ პრობლემებს ერთმანეთისაგან და მათ მიმართავენ ისეთი პრობლემების გადასაჭრელად, როგორცაა დასახლების მახლობლად არსებული ხმაური, ელექტროენერჯისა თუ წყლის შეწყვეტა, რომელიც ცენტრალური მიწოდებისგან იზღუდება, სხვა მეზობლის მიერ არასწორად მანქანის პარკირება თუ სხვ. ეს ფაქტი, როგორც აღვნიშნე, ხშირად ჩნდება Facebook ჯგუფის პოსტებშიც.

ახალი და ძველი ტიპის შენობაში მაცხოვრებლებთან მიმართ დამოკიდებულების გამოსავლენად თვისებრივი კვლევის მონაწილეებს ვთხოვდით ასოციაციურ შეფასებებს.

ქველ შენობის მცხოვრებლებმა ახალი ტიპის შენობა ასოციაციურად გარემოს და ვიზუალს დაუკავშირეს და გამოიყენეს ცნებები „კეთილმონწყობილი,“ „გარეგნულად ლამაზი,“ „დაცული,“ „მისაღები,“ „უკეთესი.“ იგივე ტენდენცია ნაწილობრივ დაფიქსირდა თავად ახალი ტიპის დასახლებების მონაწილეებშიც, რომლებმაც ხშირად გამოიყენეს ცნება „კონფორტი.“ თუმცა აღსანიშნავია, რომ ახალი ტიპის დასახლებების მცხოვრებლებმა ცხოვრების განსხვავებულ ტიპზეც გააკეთეს აქცენტი და გამოიყენეს ისეთი ცნებები, როგორცაა „ახალი ცხოვრების სტილი“ და „თავგადასავალი.“ ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ახალი ტიპის მცხოვრებლებისათვის ახალი შენობის მხოლოდ მონესრიგებული გარემო კი არა, არამედ განსხვავებული ცხოვრების წესია.

ეს ტენდენცია გამოვლინდა ზოგადად კვლევაშიც. ახალი ტიპის შენობის და დასახლების მცხოვრებლები, საცხოვრებელი ადგილის ცვლილების მიზეზად ხშირად მიუთითებდნენ ქველ შენობაში არსებულ მდგომარეობას – დანაგვიანებულ გარემოს, პარკირების სივრცის არასაკმარისობას, ახალ მაცხოვრებლებს, რომლებიც არღვევენ ტრადიციულ სამეზობლო ურთიერთობების ფორმებს, საერთო სარგებლობის ფართის არაკეთილსინდისიერად გამოყენებას. ახალი ტიპის დასახლებების მაცხოვრებლებმა საცხოვრებლის შეცვლის მოტივაციად ახალი და მონესრიგებული გარემო დაასახელეს, სადაც ფორმალიზებული იქნება საცხოვრებელი პირობების მონესრიგება: „ლიფტის და ელექტროენერჯის საფასურის შესაგროვებლად არავის უწევს სიარული,“ „არის მებაღე, რომელმაც იცის თავისი საქმე და ჩვენგან დამოუკიდებლად აგვარებს მას,“ „ლიფტი ფუჭდება თუ არა სერვისის სამსახური, ჩვენგან დამოუკიდებლად აგვარებს პრობლემას.“

ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ ახალი ტიპის დასახლებებში გაუცხოვებული სამეზობლო ურთიერთობების პირობებში მცხოვრებლები, უფრო მარტივად ავლენენ მეზობლების მიმართ უკმაყოფილებას, როდესაც ამ უკანასკნელთაგან ურბანული სივრცის არაკეთილსინდისიერად გამოყენება ხდება. მაგალითად, თუკი მანქანა სხვა მაცხოვრებლის კუთვნილ ადგილას გააჩერეს, შეზღუდეს სხვა მანქანის სავალი ნაწილი, სადარბაზო დანაგვიანეს ან შეაწუხეს ისინი გადაჭარბებული ხმაურით. ნაკლებ ინტენსიური

ურთიერთობების პირობებში სხვა მაცხოვრებლის მიმართ უკმაყოფილება შეიძლება გამოიხატოს ოფიციალური სტრუქტურების ჩართვით (მაგალითად, საპატრულო პოლიციის გამოძახებით) ან საჯარო გაკიცხვით (მაგალითად, სადარბაზოში განცხადების გაკვრა ან ზემოთ აღნიშნულ სოციალურ ქსელში განცხადების გაკეთება). კონფლიქტების კლასიფიკაციის სქემა რომ გამოვიყენოთ, ახალი ტიპის დასახლებებში პიროვნებათშორისი კონფლიქტების ჩანასახები არსებობს, თუმცა დაბალინტენსიური ურთიერთობების გამო მეზობლებს შორის გამოვლენილი უკმაყოფილება სერიოზული კონფლიქტის სახეს არ იღებს, ის მიმდინარეობს მხარეებს შორის პირადი ურთიერთობების გარეშე და მისი მოგვარებაც, კონტაქტის გარეშევე, დისტანციურად ან ფორმალური სტრუქტურების გავლენით ხდება.

სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის შედეგად ძველი ტიპის შენობის სამეზობლო ურთიერთობები და კონფლიქტები განსხვავებულად წარმოჩნდა. ძველი ტიპის შენობის მცხოვრებლები ხაზს უსვამენ სამეზობლო ურთიერთობების მნიშვნელობას. ისინი აღნიშნავენ, რომ სამეზობლო ურთიერთობები სოციალური კაპიტალია, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება ადამიანს ცხოვრების მანძილზე. „სადაც კარგი მეზობლები გეყოლება და რაც უფრო კარგ საზოგადოებაში იტრიალებ, ეს ძალიან გშველის, ვიდრე ისეთი ხალხი, წესიერადაც რომ არ ურთიერთობს შენთან. რაც უფრო მაღალი და ჭკვიანი საზოგადოებაა შენს ირგვლივ, მით უფრო კარგად გრძნობ შენც თავს“ – აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი. დასახლების ტიპის ასოციაციური შეფასებისას, ძველი ტიპის შენობის მცხოვრებლებმა, ძველი დასახლებები შემდეგი ცნებებით შეაფასეს: „თბილი“, „მეგობრული“, „შეკრული.“ ასეთი შეფასებები მიუთითებს, რომ საცხოვრებელი გარემოს მნიშვნელოვანი მახასიათებელი სამეზობლო ურთიერთობებია, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს სამეზობლო ურთიერთობების ინტენსივობა და პოზიტიურობა სრულად შენარჩუნებული.

სწორედ ძველი ტიპის შენობის მობინადრეებთან დაფიქსირდა ასევე მცხოვრებლებთან დიფერენცირება მათი ურბანული წარმოშობის მიხედვით. სიღრმისეულ ინტერვიუებში რესპონდენტები ხშირად მიუთითებენ სამეზობლოში არსებულ ცვლილებებზე – ძველი

ოჯახების გაღივებასა და ახალი ოჯახების შემოსვლაზე. ამ პროცესს ისინი ხშირად ახასიათებენ ნეგატიურად, რომ ახალი ოჯახები „ჩამოსულები,“ „არათბილისელები,“ ან „სოფლებლები“ არიან და ხშირად ამით ხსნიან მეზობლების არასასურველ ქცევას ან სამეზობლო არაინტენსიურ ურთიერთობებს. ერთ–ერთი რესპონდენტი შეფასების საკმაოდ რადიკალურ ფორმას იყენებს და ამბობს, რომ ბოლო პერიოდში მათ სახლში „მიწისძვრით დაზარალებულები, არადაზარალებულები, არათბილისელები, ბოდიში და ყველა ნაყარ–ნუყარი ხალხი შემოვიდა“. ეს ფაქტი კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე მიუთითებს – ძველი ტიპის დასახლებებში მეზობლებს აინტერესებთ და იციან ოჯახების წარმომავლობა, რაც განხილვის თემა არ არის ახალი ტიპის დასახლებებში. ძველი ტიპის დასახლებების მაცხოვრებლები ასევე მიუთითებენ, რომ ტრადიციული სამეზობლო ურთიერთობები ოჯახებს შორის დანათესავების (ნათლიობის) და დამეგობრების საფუძველიც გამხდარა.

აღსანიშნავია, რომ ძველი ტიპის შენობაში სამეზობლო ურთიერთობების ტრადიცია ბოლო პერიოდში შემცირდა. თანდათან მოიშალა საერთო სამეზობლო ურთიერთობების პრაქტიკა, თუმცა ახლო ურთიერთობები რიგ, ძველ ოჯახებს შორის კვლავ შენარჩუნდა. თუკი ახალ დასახლებაში ურთიერთობების ინტენსივობის კლებას ძირითადად დროის და სურვილის არქონას უკავშირებენ, ძველ შენობის მაცხოვრებლები უფრო ზოგად, საზოგადოებრივი ურთიერთობების ცვლილებებზე მიუთითებენ, რომელიც „ახალმა დრომ მოიტანა“ და პირველ რიგში ადამიანებს შორის ნდობის ფაქტორის შემცირებამ გამოიწვია. ძველი ტიპის შენობის მაცხოვრებლები მეზობლებს შორის ურთიერთდახმარების პრაქტიკაზეც მიუთითებენ. მაგალითად ერთ–ერთი რესპონდენტი ძველი შენობაში მეზობლის დასახლების პროცესს ასე ახასიათებს: „რომ გადმოვიდა ეს ხალხი, ხო?! არც თეფში, არც ჩანგალი, არც კოვზი არ ჰქონდათ. ესე იგი ყველა ჩემთან მორბოდა, ხან ნემსი მომეცი, ხან ძაფი, ხან ის, ხან ეს მომეცი. მე რათქმუნდა, ვეხმარებოდი, იქვე ვმუშაობდი და ჩემთვის არ იყო პრობლემა არც კოვზი, არც თეფში და არც სხვა რამ. ხოდა როგორც შემეძლო ყველას ვეხმარებოდი, მგონი არც ერთი ადამიანი არ არის, ვინც იტყვის, რომ მოვიდნენ ჩემთან და მე დახმარებაზე უარი ვუთხარი.“ ეს იმაზეც მიუთითებს თუ რამდენად

მნიშვნელოვანია ძველი ტიპის შენობის მცხოვრებთათვის პოზიტიური იმიჯი. ახალი ტიპის დასახლებებში მეზობელთან დახმარებაზე მისვლა პრაქტიკულად არ გვხვდება.

ძველი ტიპის შენობების სამეზობლო ურთიერთობებზე საუბრისას გამოიკვეთა სამეზობლო სივრცის „მითვისების“ პრაქტიკაც. ერთ–ერთი რესპონდენტი ყვება თუ როგორ მოახერხა სახლის თავჯდომარემ მიეღო მეზობლების თანხმობა სხვადასხვა სამეზობლო ფართის (საშრობის, სადარბაზოს თუ საერთო სამზარეულოს ნაწილის) გამოყენებაზე, რომელიც ბინად აქცია. ეს რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მოლაპარაკებების პროცესში სახლის თავჯდომარე მეზობლებს „თავს აცოდებდა“ შვილის უბინაობით. თუმცა ამ შემთხვევაში საინტერესოა თავად ამ რესპონდენტის არგუმენტაცია, თუ რატომ დათანხმდა თავჯდომარეს: „ხოდა, ისო სამზარეულოო, განა 2 კვადრატი შენ რას დაგაკლებსო და დაუთმოთო, მე ვუთხარი კი კაცო, ბავშვით ქუჩაში რჩებოდა და მე 2 კვადრატული როგორ შემერგება, ხოდა დავთანხმდი, ხელი მოვანერე.“ დღესდღეობით კი განაწყენებულია რესპონდენტი და უკმაყოფილებას გამოხატავს თავჯდომარის არაკეთილსინდისიერებაზე. ახალი ტიპის დასახლებაში და შენობაში მცხოვრებლებში მსგავსი „კეთილი ნების“ გამოჩენა მეზობლის სასარგებლოდ მიუღებელია, ისევე როგორც მიუღებელია საერთო სამეზობლო „ფართების თვითნებურად ათვისება.“ მსგავს პრობლემაზე საუბრობდა ფოკუს ჯგუფში ახალი ტიპის დასახლების მცხოვრები: „ჩემთვის ძველი სახლი არის დეპრესია. რა თქმა უნდა ყველგან არის ბევრი ცუდი, მაგრამ ერთ–ერთ სახლში მეორე სართულზე ერთ ადამიანს ლიფტთან ქონდა ამოშენებული და ერთი კვადრატული ქონდა მოშენებული. ჩვენ რა თქმა უნდა არ ვიცოდით, რუსეთში ვცხოვრობდით და რომ ჩამოვედით მეზობლებს ვკითხე – ეს როგორ დაუშვითთქო და მიპასუხეს მეზობელია და ვერაფერი ვუთხარით, ვერ გავიფიქრებდით ურთიერთობასო. შოკში ვიყავი, მძიმე რომ აგვექონდა იმ ადამიანს ლიფტის კარი ქონდა თავის კარად გაკეთებული და უნდა დაგეკაკუნებია. თითონ ბედნიერი იყო. ამის გარდა აივანი ქონდა მოშენებული, რომლითაც სახლი ნიავედებოდა. სწორედ ამიტომ არის ჩემთვის ძველი სახლი დეპრესია.“

ძველი ტიპის შენობაში სამეზობლო საკითხების მოგვარება ფორმალიზებული არ არის. ყველა სახლს ყავს მერიასთან შეთანხმებით დანიშნული ან არჩეული თავჯდომარე, რომელიც მეტნაკლებად თავისთავზე იღებს შენობის საჭირობოროტო საკითხების მოგვარებას. ძველი ტიპის შენობაში არ გვხვდება კონტრაქტორი მომსახურების ფირმები, რომლებიც იზრუნებდნენ დასაუფთავებაზე, უსაფრთხოებაზე ან ტექნიკური პრობლემების მოგვარებაზე. ასევე ხშირია მცხოვრებთა მხრიდან შენობის თავჯდომარეთა მიმართ უკმაყოფიოების გამოხატვა, რაც ძირითადად უკავშირდება მათ უუნარობას გადაჭრან პრობლემები ან ამ პოზიციის საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას. მიუხედავად ამისა, რესპოდენტები ამ უკმაყოფილებას თავჯდომარესთან პირადად არ გამოხატავენ და არც საკუთარ თავზე იღებენ სამეზობლო პრობლემების მოგვარებაში ჩართვის პასუხისმგებლობას.

გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ რომ მათ არასდროს ქონიათ მეზობლებთან კონფლიქტი, თუმცა სხვების კონფლიქტზე საუბრობენ. კონფლიქტის თემად ისინი მიუთითებენ სხვისი ფართის დაზიანებას (მაგალითად: წყლის ჩაშვება), საერთო სარგებლობაში არსებული ფართის ათვისებას, გარაჟების არასწორ აღვილას აშენებას, ხოლო გამოხატვის ფორმად ვერბალურ შელაპარაკებას და ჩხუბს. „ვერბალური აგრესია მოიცავს სიტყვიერ, (ყვირილს) რელიგიურ ან სოციალურ აგრესიას, რომელიც განზრახ ინვესს სხვა პირის სოციალური ურთიერთობების ზიანს (Crick & Grotpeter, 1995). ვერბალური აგრესიის გამოვლენისას თავს ესხმიან პიროვნების თვისებებსა და უნარებს. ასევე ხშირად ხდება სიტყვიერი თავდასხმის ობიექტი გარეგნობა, წარმოშობა, წარმომავლობა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ვერბალური შელაპარაკებები და ჩხუბი უფრო გავრცელებულია ძველი ტიპის შენობაში მობინადრეებთან, ეს კონფლიქტები მყისიერი, მოკლე ხნიანია და ძველი ურთიერთობები მალევე უბრუნდება ჩვეულ რიტმს. თუმცა ინტერვიუებში ხშირად ჩანს, რომ სამეზობლო ურთიერთობის არ გაფუჭების მიზნით რესპოდენტები ერიდებიან მეზობლებთან ღია კონფროტაციას. ამერიკელი კონფლიქტოლოგები სომონ ფიშერი და სხვები ამგვარ ესკალაციას ამსგავსებს რეზინის

ზონარს. რომელიც შეიძლება გავწელოთ გარკვეულ ზღვრამდე, მაგრამ შემდეგ, თუ მას ხელი გავუშვით, ის თავის პირვანდელ მდგომარეობას და ფორმას აღიდგენს. (ფიშერი & ლუდინი , 2000)

ზოგადად თუ შევაფასებთ ძველი ტიპის შენობაში სამეზობლო ურთიერთობები უფრო ინტენსიური და ურთიერთ დახმარებაზე ორიენტირებულია. მცხოვრებთათვის მნიშვნელოვანია მეზობლებს შორის პოზიტიური იმიჯის შენარჩუნება, თუნდაც საკუთარი ინტერესების სანაღამდეგოდ. ძველი ტიპის დასახლებებში უფრო გვხვდება პიროვნებათშორისი კონფლიქტები, რომლებიც მატერიალური და ემოციური ხასიათისაა.

3.4 სამეზობლო ურთიერთობებისა და კონფლიქტების შედარება და განსხვავების განმაპირობებელი ფაქტორები

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში ახალი და ძველი ტიპის განაშენიანებაში სოციალური ურთიერთობები განსხვავებულია (იხ. ცხრილი #1). ახალი ტიპის დასახლებებში სამეზობლო ურთიერთობები არაინტენსიური, დისტანცირებულია, რაც მოსახლეობის მხრიდან დადებითად ფასდება და ნაკლებად ვლინდება უფრო ახლო ურთიერთობების სურვილი. სერვისების კომპანიის შეთავაზებაზე დასახლებაში ყოფილიყო კაფე, სადაც მეზობლები სურვილის შემთხვევაში შეიკრიბებოდნენ, მაცხოვრებლებს ნეგატიური განწყობა აქვთ და ამას ასე ხსნიან: კაფე რო გაკეთდება, ბირჟას რომ არ დაემსგავსოს, მაგის გარანტია გვაქვს? ძველი ტიპის შენობის მობინადრეები მიუხედავად მაცხოვრებელთა როტაციისა, მაინც შენარჩუნებულია უფრო ახლო ურთიერთობები, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, ადგილობრივები ნოსტალგიით საუბრობენ „ძველ დროზე“. ძველი ტიპის დასახლებებში მაგალითად „ბირჟას“ არცთუ ისე ნეგატიურად აფასებენ და მას მეზობლების თავშეყრის ადგილად მიიჩნევენ.

ახალი ტიპის დასახლებებში და შენობაში სამეზობლო გარემოს მართვის ფორმალიზებული სტრუქტურაა, სადაც პრობლემების მოგვარება ხდება სერვის ცენტრებისა და კონტრაქტორი ორგანიზაციებისა თუ პიროვნებების მიერ. ძველი ტიპის შენობაში მართვის

ფორმა ნახევრად ფორმალიზებულია. სახლებს მერიასთან შეთანხმებით მართავს თავჯდომარე, რომელთანაც პიროვნული შეთანხმებების საფუძველზეა შესაძლებელი საკუთარი ინტერესების დაცვა. სწორედ ამიტომ ძველი შენობების მაცხოვრებლების მხრიდან ხშირია თავჯდომარეების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვა, რადგან ის ან უნაროა მოაგვაროს პრობლემები, ან თავის „როლს“ საკუთარი ან მასთან დაახლოებული პირების ინტერესების დასაცავად იყენებს. ძველი ტიპის შენობაში არ არის კონტრაქტორი ფირმისაგან სერვისის მიღების გავრცელებული პრაქტიკა.

ცხრილი #1: ახალი და ძველი ტიპის დასახლებებს შორის გამოვლენილი განსხვავებები

	ახალი ტიპის დასახლება	ძველი ტიპის დასახლება
სამეზობლო ურთიერთობები	დაბალინტენსიური	მაღალინტენსიური
სამეზობლო ურთიერთობების მნიშვნელობა	დაბალი	მაღალი
სამეზობლო ურთიერთობების სურვილი	დაბალი	მაღალი
მართვის ფორმა	ფორმალიზებული	ნაწილობრივ ფორმალიზებული
სამეზობლო გარემოზე პასუხისმგებლობის აღების სურვილი	არ ფიქსირდება	არ ფიქსირდება
სამეზობლო გარემოზე ზრუნვის პასუხისმგებლობის დელეგირება	ფორმალურ სტრუქტურაზე	გაურკვეველია
კონფლიქტები	დაბალი, არაუმჯალო, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით	საშუალო, უშუალო პიროვნებების ჩართვით
კონფლიქტების მიზეზები	საცხოვრებელი გარემოს დაზიანება	ოჯახების მატერიალური დაზიანება, საერთო სამეზობლო საკუთრების არაკეთილსინდისიერად გამოყენება
კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება	კონკურენციული	განრიდებითი, გასაშუალოებული

ძველ და ახალ შენობის მობინადრეებს საერთო აქვთ ის, რომ მოსახლეობის უმრავლესობას არ აქვს მართვაში მონაწილეობის მიღების სურვილი. თუმცა ახალი ტიპის დასახლებებში ამ პასუხისმგებლობის დელეგირება ხდება ფორმალურ სტრუქტურებზე. ერთ–ერთი რესპონდენტი აღნიშნავს – „[კორპუსის მართვაში უშუალოდ მაცხოვრებლების ჩართვა] პიროვნულ კონფლიქტებში გადადის მერე. შენი მეზობელი რომ არის და უწევს რომ ჩამოგიაროს [ფულის შესაკრებად], ვიღაცასთან ინყება კამათია. აი ასე ... პიროვნული კონფლიქტები ჩნდება ხოლმე. იმიტომ ... ჯობია ვიღაცა გარეშე პირი იყოს [პასუხისმგებელი], რომელსაც კონტრაქტით ეწნება ეს მოვალეობები აღებული“. ძველი ტიპის შენობის მოსახლეობა აღნიშნავს, რომ ის არ ჩაერთვებოდა შენობის მართვის საკითხებში, თუმცა არც ის იცის, ვინ უნდა აიღოს თავის თავზე ეს პასუხისმგებლობა.

ზემოთ აღნიშნული სქემის მიხედვით ძველი და ახალი ტიპის სამეზობლო ურთიერთობებში ძირითადად პიროვნებათშორისი კონფლიქტის ჩანასახი არსებობს, ესკალაცია არ ვითარდება და კონფლიქტი მალევე იხშობა. ძველი და ახალი ტიპის სამეზობლო ურთიერთობებში განსხვავებულ მოგვარების სტრატეგიებს მიმართავენ.

ახალი ტიპის დასახლებებში კონფლიქტები უშუალოდ პიროვნებებს შორის არ ხდება, რადგან აქ შენობების და ინფრასტრუქტურის გამართულობის გამო არ ხდება ერთმანეთის ქონების დაზიანება. აქ უკმაყოფილების მიზეზები უფრო ზოგადია და საერთო საცხოვრებელი გარემოს დაზიანებას უკავშირდება. ამ შემთხვევაში მხარეები გაშუალებულად ურთიერთობენ ელფოსტაზე წერილის მიწერით, სოციალური ქსელის მეშვეობით ან სადარბაზოში განცხადების გაკვრით. ძველ შენობაში უფრო ხშირია პიროვნებათშორისი კონფლიქტები, რომლებიც ძირითადად უკავშირდება ერთმანეთის საკუთრების მატერიალურ დაზიანებას და პიროვნულ კონფლიქტებს (სიმთვრალეში ჩხუბი, შეკრებული თანხების სწორად გამოყენება). აქ ადამიანები თავად ერთვებიან კონფლიქტებში, მაგრამ სამეზობლო ურთიერთობების მნიშვნელობის გამო, მალევე აგვარებენ პრობლემებს და კვლავ აგრძელებენ ახლო ურთიერთობებს.

ახალი და ძველი ტიპის სამეზობლო კონფლიქტების გასაანალიზებლად გამოვიყენოთ ტომას კილმანის სქემა (Thomas & Killman). ახალი ტიპის დასახლებებში კონფლიქტები ფარულ ხასიათს ატარებს, თუმცა ყველაზე ახლოს კონკურენციის ტიპთან დგას, რადგან სამეზობლო ურთიერთობების წესების „დამრღვევები“ და მათი „დაცვის“ მომხრეები საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობენ, თუმცა საბოლოო მიზნის მიღწევა ხშირად ფორმალური სტრუქტურების მიერ (პატრული, გაყიდვების ოფისი, ტექნიკური პერსონალი) ხორციელდება. ახალი ტიპის დასახლებებში სამეზობლო კონფლიქტის შემთხვევაში კანონზე მიუთითებენ და სამართალდამცავებს მიმართავენ ფიქრობენ, რაც არ გვხვდება ძველი ტიპის შენობის სამეზობლო ურთიერთობებში. მოვიყვანოთ ამონარიდს ფოკუს ჯგუფების მონაწილეების საუბრიდან: „ვიღაც დაბადების დღეს რომ იხდის ჩემთან ისმის სახლში. ესეთი რაღაც უნდა შემოიღონ, რომ გააკონტროლონ ღრეობა. ეს კანონით უნდა ისჯებოდეს და პატრულის გამოძახება არ უნდა მჭირდებოდეს. იმ დღეს მაგალითად ჩემს თავზე ლამის ჩამომინგრის ჭერი.“ „წერია კანონში, მეზობელმა მეზობელს თუ რამე დაუზიანა, ვალდებულია, რომ ის აუნაზღაუროს და გააკეთოს.“

ძველი ტიპის შენობის მობინადრეებს კონფლიქტების მოგვარების განსხვავებული სახეები გვხვდება – ხშირია დათმობა, განრიდება, რითაც სამეზობლო ურთიერთობების წესების დამრღვევები იმარჯვებენ, „დამთმობ და განმრიდებელ მეზობლებს“ მხრიდან ურთიერთობების არ გაფუჭების ხარჯზე.

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოვლენილი შედეგების საფუძველზე რთულია სრულად ავსახოთ ახალი და ძველი ტიპის დასახლებებში განსხვავებული სამეზობლო ურთიერთობებსა და კონფლიქტებს განაპირობებელი ფაქტორები. თუმცა ამ ეტაპზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ განსხვავებებს შეიძლება იწვევდეს შემდეგი ფაქტორები: ოჯახების განსხვავებული ეკონომიკური მდგომარეობა, თავისუფალი დრო, ოჯახების სტრუქტურა, სამეზობლოს, როგორც რეფერენტული ჯგუფის მიმართ, განსხვავებული დამოკიდებულება, განსხვავებული ღირებულებები.

ცხრილი #2: ახალი და ძველი ტიპის დასახლებებში განსხვავებული სამეზობლო ურთიერთობებსა და კონფლიქტებს განაპირობებელი ფაქტორები

	ახალი ტიპის დასახლება	ძველი ტიპის დასახლება
ეკონომიკური მდგომარეობა	მაღალი, საშუალო	საშუალო, დაბალი
თავისუფალი დრო	მცირე	საშუალო, მაღალი
ოჯახების სტრუქტურა	ნუკლეარული	გაფართოებული, ერთწევრიანი
სამეზობლოს, როგორც რეფერენტული მიმართ, გამსახვევები დამოკიდებულება	არ განიხილავს რეფერენტულ ჯგუფად	განიხილავს რეფერენტულ ჯგუფად
განსხვავებული ღირებულებები	საერთო, საზოგადოებრივი გარემოს მნიშვნელობა	პიროვნული ურთიერთობების მნიშვნელობა

რაოდენობრივი კვლევის ეტაპზე აქ წარმოდგენილი სქემის სისწორე დადასტურდა. ახალი ტიპის დასახლებებში ერთ სულზე საშუალო თვიური შემოსავალი მაღალია (1140 ლარი), ვიდრე ძველი ტიპის დასახლებებში (852 ლარი), რაც საკმაოდ დიდი განსხვავებაა. ეკონომიკური სეგრეგაცია ახალ და ძველ დასახლებებში ასევე გამოვლინდა ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტურ განცდაშიც. ახალი ტიპის დასახლებებში ოჯახის მატერიალური მდგომარეობის თვითშეფასება მაღალია (6.34), ვიდრე ძველი ტიპის დასახლებაში (5.66).

ასევე დადასტურდა მესამე ფაქტორის მნიშვნელობა, რაც ოჯახის სტრუქტურას ეხება. ახალ შენობებში ძირითადად გვხვდება ორ და ერთ თაობიანი ოჯახები, სამ თაობიანი ოჯახები, მხოლოდ 6%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი კი ძველ შენობებში 31%-ია. გარდა ამისა, ახალ დასახლებებში ოჯახის ზომა უფრო დაბალია (2.71), ძველ დასახლებებთან შედარებით (3.64). აქვე აღვნიშნავ, რომ განსხვავება გამოვლინდა ასაკობრივ პროფილშიც: საშუალო ასაკობრივი მაჩვენებელი ახალი ტიპის დასახლებებში უფრო დაბალია და შეადგენს 36 წელს, ხოლო ძველ დასახლებებში 43 წელს.

3.5 დასკვნა

შედარება რომ მოვიყვანოთ, ძველი და ახალი შენობის მობინადრეთა ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დავასკვნით, რომ ახალი ტიპის შენობაში, მაცხოვრებლები მეტად ჩაკეტილი და იზოლირებული ცხოვრების სტილით გამოირჩევიან, განსხვავებით ძველი ტიპის შენობის მაცხოვრებლებისგან, სადაც ისევ შენარჩუნებულია ურთიერთობათა ფართო არეალი, თავისი კეთილმეზობლური თუ კონფლიქტური ცხოვრების სტილით.

ძველი ტიპის შენობაში სამეზობლო ურთიერთობები უფრო ინტენსიურია და მიახლოებულია ნათესაურ, მეგობრულ და სხვა სოციალურ ურთიერთობებთან. შესაბამისად ძველი ტიპის მცხოვრებლებმა უფრო მეტი იციან ერთმანეთის ოჯახების შესახებ სადაც სოციალური ურთიერთობების ინტენსივობის მაღალი ხარისხის გამო პიროვნული ურთიერთობებით გამონვეულ კონფლიქტების სიხშირე მაღალია. ახალი ტიპის დასახლებებში ოჯახები ავლენენ მჭიდრო სამეზობლო ურთიერთობების მიმართ ნაკლებ ინტერესს. ამ ტიპის დასახლებაში ნაკლებია პიროვნული ურთიერთობების გამო გამონვეული კონფლიქტები. თუმცა, გაუცხოებული სამეზობლო ურთიერთობების პირობებში მცხოვრებლები უფრო მარტივად ავლენენ მეზობლების მიმართ უკმაყოფილებას, როდესაც ამ უკანასკნელთაგან ურბანული სივრცის არაკეთილსინდისიერად გამოყენება ხდება. ის ფაქტი რომ არ ახალ და არც ძველი ტიპის შენობის სამეზობლოებში კონფლიქტების მოგვარების პროცესში არ ხდება კონპრომისის ან თანამშრომლობის სტრატეგიის გამოყენება მიუთითებს იმაზე, რომ არ ხდება შეთანხმების მიღწევა საერთო სამეზობლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით. ეს ასევე უკავშირდება სამეზობლოების მართვის გაუმართავ სქემას – ახალი და ძველი ტიპის დასახლებებში მცხოვრებთა უმრავლესობა თავს არიდებს სამეზობლო გარემოს მართვის პროცესში ჩართვას – ახალ დასახლებებში უფლებების ფორმალური სტრუქტურების დელეგირების, ხოლო ძველ დასახლებებში მხოლოდ თავის არიდების გზით.

თუკი კონფლიქტოლოგს ფიშერს მოვიშველიებთ, სამეზობლო ურთიერთობები ეფუძნება შეთანხმებას, რომლებშიც თითოეულ ინდივიდს სარგებელი აქვს საერთო კეთილდღეობის სასარგებლოდ (Fischer, 1982) თბილისის ძველი და ახალი დასახლებების შემთხვევაში სამეზობლოში მცხოვრებ ინდივიდები საკუთარ სარგებელს პოულობენ საერთო კეთილდღეობის საზიანოდ.

Bibliography

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. (2017, აპრილი 11). Retrieved from ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.
- Ar. Soma A. Mishra. (2013). Urban Transformation and Role of Architecture towards. *International Journal of Engineering Research and Development*, 16-20.
- Billig, M. (2005). Sense of place in the neighborhood, in locations of urban revitalization. *GeoJournal*.
- Crick, & Grotpeter. (1995).
- Evans, B. (2013, August 16). *TYPES OF CONFLICT*. Retrieved from <http://www.typesofconflict.org/types-of-conflict/>
- GREENE, M., MORA, R., & BERRIOS, E. (1978). *Original and New Inhabitants in Three Traditional Neighbourhoods: A Case of Urban*. Alexandrine Press.
- Kenneth , T., & Ralph , K. (n.d.). *Thomas-Kilmann Conflict Mode Instrument*. 1974.
- MIT, G. (2013).
- Montgomery, M. R. (2008, february 7). The Urban Transformation of the Developing World. *American Association for the Advancement of Science*.
- Soma , A., Mishra, A., & Pandit, D. (2013). Urban Transformation and Role of Architecture towards. *International Journal of Engineering Research and Development*.
- Thomas. (1992). Conflict and conflict management: Reflections and update.
- Thomas, K., & Killman, R. (n.d.). *Thomas-Kilmann Conflict Mode Instrument*. 1974.
- Völker, B., Flap, H., & Lindenberg, S. (2007, February). When Are Neighbourhoods Communities? Community in Dutch Neighbourhoods. *Oxford Journals*.
- Witt, M. (1999). Sense of place in the neighborhood, in locations of urban revitalization. *GeoJournal*, 62-75.
- ZEREN GÜLERSOY, N., & Ebru , G. (2011, April). Conceptual challenges on urban transformation.
- ასათიანი , თ., ბერეკაშვილი, დ., მშვიდლობაძე, რ., & ნიჟარაძე , გ. (2000). *როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები*. თბილისი: კონფლიქტების და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი.
- ბერეკაშვილი, ნ., გოცირიძე, რ., ლორთქიფანიძე, შ., მშვიდლობაძე, რ., ნიჟარაძე, გ., როგოვსკაია-კანდელაკი, მ., et al. (2011). *კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა*. თბილისი.

მერია, თ. (2017, თებერვალი). *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მერია*. Retrieved from <http://www.tbilisi.gov.ge/news/3345>

ნარმანია, დ. (2017, აპრილი 11). Retrieved from ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია: <http://www.tbilisi.gov.ge/news/3559>

ფიშერი, ს., & ლუდინი, ჯ. (2000). *კონფლიქტზე მუშაობა უნარჩვევები და სტრატეგიები*. მშვიდობის, დემოკრატიის, და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამოცემა.

ჯანაბერიძე, ნ. (1971). *ქართული საბჭოთა არქიტექტურა*. თბილისი.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Miranda Mikadze

Controversies of neighbourly relations formation during development
transformation process of Tbilisi

Master Program in Conflicts Analysis and Management of the Faculty of
Social and Political Sciences

The thesis is submitted for obtaining the Master's Degree in Conflict Analysis and
Management

supervisors: Valerian Melikidze - Associate Professor;

Revaz Jorbenadze - Professor

Tbilisi, 2018